რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 9 აპრილი 1917 წ.

37

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 19 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 19

დიდი რევოლუცია.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12 „ერთობის“ რედაქციის გვერდით.

მუდმივი მდივნის მოვალეობას შეასრულებს ზ. ჩიჩუა და ამხანაგებს სთხოვენ მიმართონ მას ახსნა-განმარტებისთვის.

ბიურო ღიაა დილით 11—1 საათამდე.

საღამოს 5—7 „

---

11 აპრილს, ქ. ოზურგეთის სობოროში დანიშნულია

ევლინე რაჟდენის ასული წუწუნავას

მოსაგონებლად გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო პანაშვიდი, რასაც აცნობებს ძმები ალექსანდრე და სამსონი, დები ფლორენცია, ნინა და ცეცილი, სიძეები წულუკიძე და ა. ბოლქვაძე.

პოლიტიკურ გადასახ. დამხმარე კომისია

მოქალაქენო!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა პოლიტიკურ გადასახლებულთა დამხმარე კომისია.

რომ ეს დახმარება საკმარისი დარჩეს, საჭიროა საშუალება, საშუალება და საშუალება.

გთხოვთ ფული გამოგზავნოთ სასახლეში კომისიის სახელზე დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ტანსაცმელი, თეთრეული და ფეხსაცმელი სახელოსნო სასწავლებელში, ეკზარხის მოედანზე იმავე საათებში.

კომისია იმყოფება სასახლეში, მუშათა დეპუტატების საბჭოსთან.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

ორშაბათს, 10 აპრილს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება:

ექიმი შტოკმანი

ანუ ხალხის მტერი.

დრ. 5 მოქ. გ. იბსენისა, თარგ. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მატარაძისა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ნ. მჭედლიშვილი. ბ.ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ა. მჭედლიშვილი, ვ. მამაჯანოვი, თავდგირიძე, კაციაშვილი, ს. პეპანოვი, ხიმშელი, სალაყაია და თანამშრომლები.

დასაწყისი საღ. სწორედ 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 54 კ-მდე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე.

შემდეგი წარმოდგენა 23 აპრილს. ✦ ✦ რეჟ. ქ. შათირიშვილი.

მეხილეთა ამხანაგობა «ქართლის» გამგეობა

აცხადებს, რომ წრეულსაც განაგრძობს მოქმედებას და მიიღებს ყოველგვარ ხილსა და ბოსტნეულს იმავე წესით, როგორც აქამდე იყო.

ამასთანავე 16 აპრილს ქ. გორში მოწვეულია დღის 12 საათზე

საზოგადო კრება.

განსახილველია: 1) წლიური ანგარიში 1916—17 წლისა და საქმის მდგომარეობა. 2) მომავალი 1917—18 წლის ხარჯთ აღრიცხვა და საორგანიზაციო გეგმა. 3) საქონლის შეძენის სხვადასხვა პირობათა მიღება. 4) გამგეობის წევრთა არჩევანი და 5) მიმდინარე საქმეები და საკითხები. 2—2

თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

გაზეთ „კავკაზის“ ამა წლის 29 მარტის, № 71, მოთავსებულია სავალდებულო დადგენილება, რომლითაც ქ. თფილისში ყველა მოვაჭრეებს მიეცათ წინადადება, რომ მათ ორი კვირის განმავლობაში უნდა წარმოედგინათ ცნობები იმ გამზადებულ და მომარაგებულ სურსათ-სანოვაგის შესახებ, რომელიც ამა წლის 27 მარტის ნიხრში იყო გამოცხადებული.

მიმდინარე უქმეების გამო ყველა მოვაჭრეებმა ვერ მოასწრეს წარმოედგინათ მოთხოვნილი ცნობები, და კომისარიატი მოკლებულია საჭირო მასალას, გაითვალისწინოს ქალაქში საბოლოოდ შენახული სანოვაგის რაოდენობა.

აღნიშნავს რა ამ წლის 29 მარტის თავის დადგენილებას, კომისარიატი ხელახლად აძლევს წინადადებას ყველა ქ. თბილისში მოვაჭრეთ წარმოადგინონ კომისარიატის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქ.) მოთხოვნილი ცნობები სამი დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების საჯაროდ გამოქვეყნებისა. ყოველივე სანოვაგე, რომელიც აღმოუჩნდებათ მოვაჭრეთ და რომელიც არ იქნება ნაჩვენები მათგან წარმოდგენილ ცნობებში, ჩაითვლება როგორც გადამალული და მათ შესახებ მიღებული იქნება სარეკვიზიციო ზომები.

კომისარიატი.

დღეს, კვირას, 9 აპრილს დილის 10 საათზე

ავლაბრის თეატრ „პალასში“

დანიშნულია თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის (6 და 7 უბანი ნავთლუღით)

რ. ს.-დ. მუშათა პარტიის რაიონული კრება.

ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ. კრებაზე დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ პარტიის წევრები.

ახალი საკრებულო.

(ყოფილ ხარფუხის კლუბი). მიხაილოვის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა.

კვირას, 9 აპრილს, ოპერეტა რუსულ ენაზედ ბ. ბაჟუშევის ხელმძღვანელ. სიმებიანი ორკესტრი.

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

გამოვიდა და იყიდება

პროგრამა

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა,

რუსულსა და ქართულ ენებზე. გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

✦ ფასი 10 კაპ. ✦

ორგანიზაციებს შეუძლიათ პარტიობით დაიკვეთონ და ფული წინ და წინ უნდა გამოგზავნონ გაზ. „ერთობის“ სახელზე (იხ. „ერთობის“ განცხადება).

თფ. გუბერნიის სასურსათო კომისარიატისაგან.

კომისარიატი სთხოვს ყველას, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირთ, ქ. თფილისში ყოველივე ცნობებისათვის საჭირო სურსათის შესახებ მიმართონ

ქალაქის სასურსათო კომიტეტს,

რომელიც დროებით მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის შენობაში და რომლის სათავეში დგანან მოქალაქენი: რუსია, სტაროსელსკი და ნოვაკი. კომისარიატი.

განცხადება.

იყიდება სოფ. ახმეტაში, თიანეთის მაზრაში სრულიად

თავისუფალი მამული ვენახით

მარნით და ერთი სადგომი ოთახი ოჯახური მოწყობილობით, რომელიც ზომით არის 3 დესეტინა (6 ქცევა). მსურველს შეუძლიათ მოლაპარაკება: ქ. თფილისში, ჩერქეზოვის ქუჩა, ერისტოვის შესახვევში № 14, ოთახი № 5. დილის 10 საათ. 12 საა ამდის, საღ. 6—8 ს.

2—1 ქ. გოგოლაძე.

საჭაროთ საჭიროა განმანაწილებელ პუნქტისთვის

მოსამსახურე ქალები და კაცები.

მსურველთ უნდა მიმართონ შტატის გამგეს გ. ჯორბენაძეს.

მისამართი: თფილისის განმანაწილებელი პუნქტი.

კომისია არჩეული სამანუფაქტურო სავაჭროების

გასახსნელათ

თფ. მანუფაქტურით მსხვილ მოვაჭრეთა მიერ

იწვევს სავაჭროთათვის: კანტორის გამგეებს, ნოქრებს, კასირებს (როგორც ქალებს, ისე კაცებს) აგრეთვე ახალგაზდა ყმაწვილებს. წერილობითი განცხადებები საჭირო ცნობებით უნდა გაიგზავნოს ალექსი ფილიპეს ძე როჟდესტვენსკის სახელობაზე, თფილისში, ამხანაგობა ტვერის მანუფაქტურისა, სომხის ბაზარში, სახლი № 6. 2—1

ზ. ზ. შებრაზიანი

შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირ ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისდუშივენის, —ტრიპიტა, დიდი სოლინოიდი **სპეციალური მიღება და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ქალების, სისხლ ნაკლებობის, ჭიდილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემალის ტვინის ავათმყოფობის ახთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.**

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. ბ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ბ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთ ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქუთაისი

ექიმ ბ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისან ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

„თავისუფლების სესხი“.

დროებითი რევოლიუციონური მთავრობა „თავისუფლების სესხის“ გამოცემას შეუდგა. მიმდინარე წლის 6 აპრილიდან ხელის მოწერა დაიწყო. მრავალი დაწესებულებანი მას მხურვალე დახმარებას უწევენ. დეპეშების ცნობით მოსკოვის ქალაქის თვითმართველობამ ამ მიზნით ერთი მილიონი მანეთი გადასდვა. მოსკოვის მაგალითს სხვა ქალაქების თვითმართველობანი, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, კერძო ბანკები და სავაჭროები ბაძავენ და განახლებულ რუსეთისათვის ფულს არ ზოგავენ.

დიადია ამ სესხის დანიშნულება. იგი ფაქტიურათ რუსეთის რევოლიუციის განმტკიცებას უნდა მოხმარდეს და მით დემოკრატიას საშუალება მიეცეს შინაურ და გარეშე მტრისაგან თავისი არსებობა უზრუნველყოს.

ძველმა რეჟიმმა მთელი ეკონომიური ცხოვრება და სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა უკიდურეს მდგომარეობამდის მიიყვანა. მილიარდობით სახელმწიფოს შემოსავალი მიასოედოვების, სუხომლინოვების და მათი ამყოლ დამყოლთა ხელში მოექცა. ხალხის ქონება უთავბოლოდ იფლანგებოდა. ახლა მთელი სახელმწიფოს ქონებრივი მდგომარეობა წარმოუდგენელ კრიზისს განიცდის. მდგომარეობა კრიტიკულია. უკეთუ ასე გაგრძელდა, ეჭვს გარეშეა სახელმწიფოს ფინანსიური ურთიერთობა შეირყევა და მთელი განახლებული რუსეთის მდგომარეობა განსაცდელში ჩავარდება. ასეთი მდგომარეობა კი კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს და გარეშე მტერს საშუალებას მისცემს ძალა მოიკრიბონ, ამღვრეულ წყალში თევზები დაიჭირონ და მით ძველი რეჟიმის აღდგენას ნიადაგი მოუმზადონ. ამ ჟამათ სახელმწიფოს მრავალი და ერთობ რთული მოთხოვნილება აქვს. რომ ამ საჭიროებას თავი გაართვას, მან აუცილებლათ გარდა ჩვეულებრივი შემოსავლისა, შინაურ სესხსაც უნდა მიმართოს. ბურჟუაზიულ წრეებმა დიდძალი ქონება შეიძინეს. საჭიროებისას ძველი მთავრობა მათი დახმარებით სარგებლობდა. ეს ახლა უნდა გაორკეცდეს, ვინაიდან დღეს სახელმწიფოს სათავეში ასე თუ ისე ხალხის ნდობით აღჭურვილი პირები დგანან და მათი მოქმედება ხალხის კანტროლს ექვემდებარება.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში მთავარ როლს თამაშობენ და მათი სურვილის წინააღმდეგ არც ერთი გროში არ დაიხარჯება. რევოლიუციის ხანაში ხალხი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონია და მისი სურვილი და ინტერესები სახელმწიფოს სურვილ-ინტერესებათ არის გამოცხადებული. რევოლიუციის ხანაში მუდამ დროებითი რევოლიუციონური მთავრობა სახელმწიფოს სახელით სესხს სცემდა, ხშირათ საკუთარ ასიგნაციებსაც უშვებდა და მით შერყეულ მდგომარეობის გამოკეთებას ამა თუ იმ გზით ლამობდა.

ამიტომ დღეს ყველა საზოგადოებრივი ორგანოები, კერძო სავაჭრო დაწესებულებანი, აგრეთვე შეძლებული პირები მოვალენი არიან თავისი წვლილი შეიტანონ, „თავისუფლების სესხი“ შეძლებისდაგვარათ გაანაღდონ და მით ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილ დროებით მთავრობას საშუალება მისცენ დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს გართულებული მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ და მით ხალხის მიერ მოპოვებული თავისუფლება უზრუნველჰყონ. ამას მოითხოვს რევოლიუციის ინტერესები.

შავრაზმელები არ სცხრებიან.

რევოლიუციამ რუსეთის შავრაზმელთ მოულოდნელათ ჩასცა გულში ლახვარი. მართალია, ისინი ნიკოლოზ მეორეზე უფრო შორს გამჭვრეტელნი და წინდახედულნი იყვნენ, ყოველთვის მოელოდენ ხალხის ამოძრავებას და მის წინააღმდეგ საბრძოლველათაც ემზადებოდენ, მარა ალბათ მათ ნიკოლოზ რომანოვთან ერთათ, არასოდეს არ წარმოედგინათ, რომ რევოლიუცია ასეთი სწრაფი და ძლევამოსილი იქნებოდა.

რევოლიუციას ისინი ყოველთვის „ინოროდცების“ და ორიოდე შეთქმულთა საქმეთ სთვლიდენ და ხალხის ფართო მასის ამოძრავება არასოდეს არ სწამდათ. მარა სასტიკათ მოსტყუვდენ. რევოლიუციას მიემხრენ საზოგადოების ზოგიერთი ელემენტებიც კი და პროლეტარიატთან ერთად თვითმპყრობელობა დასცეს. რეაქციონერები დაიბნენ, მარკოვ მეორის მუქარა:

— უბრძოლველათ ჩვენს უფლებას არავის დავუთმობთო—მხოლოდ მუქარათ დარჩა. ბნელეთის მოციქულნი შიშის გამო რევოლიუციის პირველ დღეებში სოროებში მიიმალენ.

მარა ცნობილია, რომ რეაქციონერები საქმის ხალხია. მათ კარგათ იციან, როდის რა სჯობს და სად რა უნდა აკეთონ. როგორც ჩანს, რუსეთის შავრაზმელნი თანდათან გონს მოდიან, ძალებს იკრეფენ და თავის საქმეს იწყებენ. დღეს მათ უმთავრეს მიზანს შეადგენს რევოლიუციონერთა ბანაკში არევ-დარევა შეიტანონ, განხეთქილება მოახდინონ და ამ გზით რევოლიუციონური ძალა დაასუსტონ. როგორც ყოველთვის, შავრაზმელებმა ეხლაც თავის ძველ ნაცად იარაღს მიმართეს—„პოგრომების“ მოწყობას შეუდგნენ. სამოქმედო დროთ აღდგომის კვირა ამოირჩიეს, რადგან დარწმუნებული იყვნენ ძველი გამოცდილებით, რომ პოგრომული აგიტაცია ყველაზე უკეთეს ნიადაგს მაშინ პოულობს, გარდა ამისა ამ საერთო სურსათის კრიზისის დროს ხალხი განსაკუთრებულ გაჭირვებას

ღდგომის დღეებში განიცდის. და აი, შავრაზმელებმაც მთელი თავისი ლაშქარი ამ დროისათვის აამოძრავეს. ცნობილ შავრაზმელ პურიშკევიჩისა და კრუშევანის სამშობლო კიშინიოვში მათ ხმები გაავრცელეს, ებრაელებმა ბავშვი აწამეს, რომელიც სახლის ჭერზე ინახებაო. მოსკოვში ვიღაც მხეცმა 8 წლის გოგოზე ძალმომრეობა იხმარა და მოკლა. შავრაზმელები ამ ფაქტის თავის სასარგებლოთ გამოყენებას შეეცადნენ და ანტისემიტური აგიტაცია გააჩაღეს. ხალხმა მათ ორიდე შემთხვევაში შესაფერისი პასუხი გასცა და ბნელეთის მოციქულნი დაატუსაღა. რამდენიმე ქალაქში ისინი სურსათის უქონლობის გამო ბრბოს აქეზებენ და მაღაზიების დასარბევათ მოუწოდებენ. რევოლუციონერმა დემოკრატიამ ამ შემთხვევაშიც თავის დროზე მიიღო ზომები და „პოგრომი" თავიდან აიცილა.

მიუხედავათ ამისა შავრაზმელები მაინც ფარხმალს არ ყრიან, უნდათ ყოველივე მოვლენა თავის სასარგებლოთ გამოიყენონ. მარკოვ მეორემ ებრაელების საწინააღმდეგო აგიტაციით რომ ვერას გახდა, ტალახი სოციალისტების ბანაკისაკენაც გადაისროლა; ფურცელი გამოსცა, გამოჩენილი სოც.-დემოკრატი ნ. ტროცკი და ზოგიერთი სხვა პროვოკატორათ მონათლა და მუშებს მოუწოდა: არ დაენდონ მოღალატეთო. მარა მარკოვი მეორე ვინ არის, რომ მას მუშებმა დაუჯერონ და მის პროვოკაციას აყვნენ?!

რაც დრო გადის, შავრაზმელები მით უფრო და უფრო გაბედულათ გამოდიან. სატახტო გაზეთების გადმოცემით პეტროგრადში გავრცელდა ბეჭდვილი პროვოკაციული ფურცელი, რომელშიაც შავრაზმელები მოუწოდებდნენ: „სამშობლოს, მეფისა და ტახტის ერთგულთ შვილთ" მოაწყონ „ბართლომეს ღამე", დახოცონ რევოლუციონერები და „ჟიდები" და გაანთავისუფლონ თავისი საყვარელი მეფე ნიკოლოზი.

ერთი სიტყვით, შავრაზმელები იმედს არ კარგავენ და თავის სანატრელი დროის დასაბრუნებლათ ემზადებიან. მართალია ცდამ მათ ჯერჯერობით უნაყოფოთ ჩაიარა, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი რევოლუციისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ამიტომ საჭიროა მათ წინააღმდეგ ეხლავე მიღებული იქნეს ენერგიული და სასტიკი ზომები, რათა ერთხელ და სამუდამოთ გაიწმინდოს მათგან განახლებული რუსეთი. უკანასკნელი დეპეშის თანახმათ, პეტროგრადში მონარქისტთა რამოდენიმე ძლიერი ორგანიზაცია შექმნილა და დროებით მთავრობას განუზრახავს მათი აღმოჩენა და ლიკვიდაცია. საჭიროა დაუყონებლივი ზომები, საქმის გაჭიანურებით მტერი ისარგებლებს, ხოლო დაჩქარებით რევოლუცია.

რევოლუციის სამსახური თუ ცენზურა?

პრესის თავისუფლება დემოკრატიული წყობილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მიუხედავათ ამის მთელი პროგრესიული რუსეთი აღტაცებით შეხვდა შავრაზმული გაზეთების შეჩერებას, რაც პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭომ მოიმოქმედა. ეს რევოლუციის ინტერესია. არავის აზრათაც არ მოსვლია ასეთ ნაბიჯში ცენზურის აღდგენა დაენახა.

აღმასრულებელი კომიტეტი კონტრ-რევოლუციონერთ და პროვოკატორებს ატუსაღებენ; მარა ამაში პიროვნების ხელუხლებლობის პრინციპის შელახვა არავის დაუნახავს.

მარა ის, რაც შეუძლებელია რუსეთში, მუდამ დღე ხდება ჩვენში. ნაციონალისტური პრესა აშკარა ბრძოლას უცხადებს მუშათა და ჯარ.-კაცთა დეპუტატების საბჭოთა მოღვაწეობას და მათ სახელს უტეხს. ამ გარემოებამ ასოთ აწყობთა სამართლიანი გულის წყრომა გამოიწვია და მათ გადასწყვიტეს შესაფერი ზომების მიღება. ასოთ-ამწყობები თვით შეეცდებიან ისეთ წერილებს გაზეთებში ადგილი არ მისცენ, რაც რევოლუციონურ ძალთა გათიშვას და მათ დაუძლურებას იწვევს.

„ზემშჩინა"-ს დახურვა სამართლიანია. ამაში ეჭვი არავის შეაქვს. ერთი გვიბრძანეთ ბატონნო ნაციონალისტებო, თუ ეს დასაშვებია, რათ არ შეუძლიათ ასოთ-ამწყობებსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს ზომები მიიღონ იმ აგიტაციის წინააღმდეგ, რომელიც რევოლუციის ძალთა გათიშვას ემსახურება? ნუ თუ ეს ცენზურას უდრის?

პრესა.

ქართველმა ნაციონალისტებმა საერთო შეთანხმება უარყვეს. ჯერ კიდევ, როცა საერთო თავისუფლება არ განმტკიცებულა მათ ავტოკეფალიისა და ავტონომიის საკითხი წამოაყენეს და მის დაუყონებლივ განხორციელებას შეეცადნენ. ნაც.-დემოკრატებისა და ფედერალისტების ასეთმა უტაქტო გამოსვლამ ფართო მასაში უკმაყოფილება დაბადა, ხოლო კონტრ-რევოლუციონერებმა ამით ისარგებლეს და „ინოროდცების" საწინააღმდეგო აგიტაცია გააჩაღეს. ამის გამო ცნობილი სოც.-რევოლუციონერი გ. ნათაძე „კავ. სლოვო-ში" სწერს:

> „რასაკვირველია თავისთავათ ავტონომიის ქადაგება არავითარ დანაშაულს არ წარმოადგენს. კიდევ მეტი, ოლქებისა და ნაციონალურ ერთეულების დემოკრატიულ საფუძველზე აგებული კავშირი—ეს უმაღლესი ფორმაა პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კულტურულათ მაღლა მდგომ სახელმწიფოში. მარა ამ ჟამათ კითხვა ამაში კი არ არის, არამედ იმაში, თუ რამდენათ დროს შესაფერისია ასეთი აგიტაცია. ჩვენ თავიდანვე საჭიროთ ვსცანით გვეჩუმებულიყავით ამის შესახებ, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ნაციონალური კითხვა მეტათ დახლართულია. ამიტომ დამფუძნებელ კრებამდის ავტონომიის ქადაგებას შეუძლია გამოიწვიოს არა სასურველი შედეგები, რომელთა სავსებით გათვალისწინებაც დღეს-დღეობით შეუძლებელია".

ამის მაგალითი ისტორიამაც მრავალი იცის, მარა ჩვენი ნაციონალისტები ისტორიის გაკვეთილებით ნაკლებათ სარგებლობენ და მაინც თავის „მრეველურ" პოლიტიკას განაგრძობენ. ამის შესახებ ავტორს პარალელი გაყავს საფრანგეთის რევოლუციასა და დღევანდელ მომენტს შორის და ამბობს:

> „საფრანგეთის რევოლუციის მაგალითი ამას აშკარათ გვიმტკიცებს. ვანდეების აჯანყებას პირველათ სრულიადაც არ ქონია კონტრ-რევოლუციონური ხასიათი, ისინი ნამდვილი რესპუბლიკანელები იყვნენ. მათი სურვილი იყო პარიზის ჰეგემონიისგან განთავისუფლება, მარა მათი აჯანყებით ისარგებლეს როიალისტებმა და მოძრაობას ნამდვილი კონტრ-რევოლუციონური ხასიათი მისცეს. ასევე ითქმის ფედერალისტებზედაც. არავის აზრათაც არ მოსდის, რომ ფედერალისტებს სურდეთ კონტრ-რევოლუციის მხარის დაჭერა და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება, მარა თავისი გამოსვლებით და უტაქტო ნაბიჯებით ისინი ხელს უწყობენ კონტრ-რევოლუციის ბაცილების გავრცელებას".

ჩვენ ეს თავიდანვე აღვნიშნეთ, მარა ფედერალისტებმა ჩვენ ასეთ წინადადებას ანგარიში არ გაუწიეს. ეხლა ამასვე ურჩევს მათი მონათესავე ჯგუფის წარმომადგენელი გ. ნათაძეც და მოუწოდებს მათ:

> „შესწყვიტეთ აგიტაცია ავტონომიის სასარგებლოთ ყველამ მათ, ვისაც კი გაინტერესებთ რუსეთის რევოლუციისა და თავისუფლების ბედი".

გასჭრის თუ არა ასეთი მოწოდება—ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

სამხედრო მინისტრი კიევში.

კიევი. 7 აპრილი. სამხედრო მინისტრი გუჩკოვი ესტუმრა აღმასრულებელ კომიტეტს. მინისტრს მიესალმა აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე სტრადომსკი; გუჩკოვმა უპასუხა „ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვუცქეროდით კიევის ამბებს. ვიცოდით, რომ კიევი, სადაც გამწვავებული იყო ეროვნული და სარწმუნოებრივი ანტაგონიზმი, რასაც ხელს უწყობდა ძველი მთავრობა, ეს კიევი წარმოადგენს ამაფეთქებელ მასალას, რომელიც პაწია მიზეზის მეოხებით შეიძლება კოცონათ გადაიქცეს. აი ამიტომაც ჩვენი სიხარული დიდი იყო, როცა გავიგეთ, რომ თქვენ, ადგილობრივ ძალებს, უცბათ, საუცხოვოთ მოგიგვარებიათ საქმე. თქვენ ეს მოახერხეთ იმიტომ, რომ პირველათვე თავში მოექეცით მოძრაობას და არა კუდში, თანაგრძნობით და ნდობით მოგყვა ფართე საზოგადოება—აი ამ გარემოებამ აგაცილათ ანარხია, რაც თანა სდევს ამგვარ მოძრაობას.

კიევს, როგორც სამხრეთ დასავლეთის ფრონტის უდიდეს ცენტრს, მძიმე ტვირთი აწევს: კიევმა უნდა შექნას ნორმალური მუშაობის პირობები, ურომლისოთ არც ბრძოლა და არც გამარჯვება არ შეიძლება". ქვევით მინისტრი ამბობს არმიაში პირადი დაკვირვების შესახებ და განაგრძობს: „ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინეთ ვიცოდით, რომ კრიზისის მშვიდობიანი დასასრული შეუძლებელია. კომპრომისის გზა რუსეთს მიიყვანდა სამარცხვინო დამარცხებამდე. აშკარა იყო, რომ ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ერთია. სამუდამოდ ბოლო მოეღოს ძველ წყობილებას, რათაც არ უნდა დაგვიჯდის. ძველი წარიხოცა, იმის ნაშთები კიდევ გვხვდებიან გზა-და-გზა, მარა ხელს ვეღარ შეგვიშლიან. ახლა ჩვენი საზრუნავია თავისუფალი, ახალი ცხოვრების შექმნა; საქმე დიადი და პასუხსაგებია, მარა დარწმუნებული ვარ, რომ ახალი რუსეთი, ახალი ხალხი შესძლებს იმას, რაც ვერ შესძლო და არც უნდოდა ძველ მთავრობას. გულის სიღრმიდან მადლობას გწირავთ კიეველებსო იმ დიდი საქმისთვის, რაც თქვენ გააკეთეთ განახლებული რუსეთისთვის". კიევის გარნიზონის სახელით მინისტრს მიესალმა პოლკოვნიკი სტეცკი. ჯარისკაცთა სახელით მიესალმა სალდათი ბრანტმანი, რომელმაც სთქვა: თავისუფალი რუსეთის თავისუფალმა სალდათმა იცის მოვალეობა სამშობლოს წინაშე, იცის რომ სამშობლოს მტლათ დაედება საჭიროების დროს. მიესალმენ მინისტრს აგრეთვე მუშათა საბჭოს თავმჯდომარე ნიზლობინი და სტუდენტების სახელით გურევიჩი.

ჯაშუში.

ჩემს გვერდით იდგა... გუშინ ჩვენს დროშას
თვალს უსწორებდა მოიღვარისა...
ტაშს მხნედ, ბეჯითად უკრავდა ძმასა
ამაყს, რისხვიანს და მღელვარისა...

დღეს რას გკითხულობ? რამდენჯერ მისგან
დაბრმა დახრილა დროშა წმინდელი...
აწ შავსა საკანს დაუკრავს ტაშსა
გამცემი ძმისა, იუდა ბნელი...

იას-მანი.

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრება.

7 აპრილს პეტროგრადში სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ორგანიზაციების კრება გაიხსნა. კრებაზე 600 მეტი დელეგატი გამოცხადდა.

ებრაელები და „თავისუფლების სესხი".

ყაზანის ებრაელთა საზოგადოება განსაკუთრებულ კრებას იწვევს, რათა ახალი „თავისუფლების სესხის" განაღდებას ხელი შეუწყონ.

დროებითი მთავრობის განზრახვა

დროებითი რევოლუციონურ მთავრობას განზრახვა აქვს ახალი რკინის გზების გაყვანის კომისიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შეიყვანოს. კომისიის დადგენილებები დროებით მთავრობას წარედგინება განსახილველათ.

— დროებითი მთავრობამ გადასწყვიტა დაპყრობილ გალიციის მართვა-გამგეობის შესახებ ახალი პროექტი შეიმუშაოს, რომლის ძალით გალიციაში სამხედრო უწყების ხელში დარჩება მხოლოდ წმინდა სამხედრო საქმეები. სამოქალაქო მართვა გამგეობა დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ კომისარისა და საოლქო და სამაზრო კომიტეტების ხელში გადავა.

სინოდის განკარგულება.

უწმიდესმა სინოდმა სასულიერო უწყებებს მოწოდებით მიმართა, რომელშიაც ნათქვამია: დასახელებულ დაწესებულებების მთელი თავისუფალი ქონება ახალი თავისუფლების სესხის განაღდებას მოხმარდესო.

ფარმაცევტების კრება.

7 აპრილს სამხედრო და საზღვაო ფარმაცევტების კრება გაიხსნა.

დიდი „სიეზდი".

7 აპრილს ქ. მინსკში ფრონტისა და „ზურგის" ჯართა წარმომადგენლებისა და მუშათა დეპუტატთა საბჭოს დელეგატთა უდიდესი კრება მოხდება. ქალაქს არა ჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო. ყველგან მიტინგები და თათბირი ხდება დელეგატთა არჩევნების გამო, სატახტო ქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები უკვე მოვიდნენ. კრებაზე 1.500 წარმომადგენელი დაესწრება.

მოქმედ ჯარის რეზოლიუცია.

მომქმედ ჯარის წარმომადგენლებმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: სულით და გულით ვემხრობით დროებითი რევოლიუციონურ მთავრობას და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს. ეს ის ორი ძალაა, რომელმაც რუსეთის რევოლიუცია უნდა განამტკიცოს. მათ შორის უთანხმოების არ გვეშინიან, მათში ჩვენ ორ მთავრობას არ ვხედავთ. ღრმათ დარწმუნებული ვართ დროებითი მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები შეერთებულათ იმოქმედებენ და მით ძველი მთავრობის საბოლოვოთ განადგურებას ხელს შეუწყობენ. ომისა და ზავის საკითხის გადაწყვეტას ჩვენ არ ვკისრულობთ: ჩვენ მთელი ჩვენი არსებით რევოლიუციის განმტკიცებას ვემსახურებით. მაგრამ ამავე დროს როგორც მოქალაქენი მოუთმენლად ველოდებით დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი საპატიო იყოს და მან განამტკიცოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა. ამასთანავე ვთხოულობთ გერმანიის მილიტარიზმის დამხობას და ერების თვითგამორკვევის უფლებას. სიამოვნებით ვეგებებით 8 საათის სამუშაო დროის შემოღებას და „მიწისა და თავისუფლების" ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებას.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

დამფუძნებელი კრება მოსკოვში.

ბრუსილოვი ტელეგრამით ატყობინებს თავ. ლვოვს: ჯარისკაცთა და აფიცერთა კრებამ დაადგინა დამფუძნებელი კრების მოსკოვში მოწვევა და მეც ვეთანხმები „შინ დაბრუნების" აზრსო.

მონარქისტები.

პეტროგრადში შეუდგნენ ორი დიდი მონარქიული კავშირის მოქმედების გამოკვლევას.

არეულობა გერმანიაში.

ჩვენ მოკავშირე დიპლომატიურ წრეებს კოპენჰაგენიდან და სტოკჰოლმიდან ატყობინებენ—ბერლინში და გერმანიის სხვა ცენტრებში სახალხო მღელვარება დაიწყო. გაფიცვები და მღელვარება დაწყებულია აგრეთვე პოლონეთის სამეფოში.

სუხომლინოვი.

ყოფილი სუხომლინოვის საქმის წარმოება დასრულდა, დაკითხეს ყველა მოწმე.

რევოლუციის მტრები.

გენერალ ივანოვის საქმეც, რომელიც წ. გიორგის კავალერის ეშელონით პეტროგრადისაკენ ვეემართა რევოლუციის ჩასაქრობათ, მალე დასრულდება.

საქმის აწარმოებს განსაკუთრებული გამომძიებელი კომისია. კომისიის მინდობილობით მოსკოვში იყო ამ საქმის გამო პროკურორის ამხანაგი, რომელმაც მრავალი საყურადღებო საბუთები წარუდგინა კომისიას.

ებრაელები.

მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის კომიტეტის სხდომაზე ებრაელების წარმომადგენელმა განაცხადა: საჭიროა მიტინგებზე ორატორები ებრაელების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენო, გვაბრალებენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, იყო პოგრომის განძრახვაც. კიშკინმა განაცხადა: ამგვარ ორატორებს ხალხი გულცივათ ისმენს, ამ მოვლენას კონტრ-რევოლუციის დასაწყისზე გავლენა არ აქვსო.

კუროპატკინი და კომპანია.

ტაშკენტის მუშათა საბჭოს დროებითი მთავრობა წინადადებას აძლევს: ხელს ნუ შეუშლით დატუსაღებულ კუროპატკინის, სივერსის და ეროფეევის პეტროგრადში გადმოყვანასო.

კიდევ პროვოკატორი.

მოსკოვში გამოქვეყნდა პროვოკატორების ახალი სია. თვალსაჩინო ყოფილა მათში ვიაზკოვი—„მრეწველათ" წოდებული. ბოლო ხანებში იგი მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრათ იყო, ვიაზკოვი დაატუსაღეს.

უკრაინელები.

სოციალდემოკრატიულ კრებაზე უკრაინის წარმომადგენლებმა განაცხადეს—განძრახვა არის მოვიწვიოთ უკრაინის დამფუძნებელი კრება ტერიტორიალური ავტონომიის დასამუშავებლათ, სანამ სრულიათ რუსეთის დამფუძნებელი კრება იტყოდეს ამის შესახებ სიტყვასო. ამ განცხადებამ გამოიწვია ისეთი განგაში, რომ აღმასრ. კომიტეტი იძულებული შეიქნა მოეწვია უფრო გავლენიანი ორგანიზაციების პრეზიდიუმების და უკრაინის რადას წარმომადგენლების გაერთიანებული კრება.

უკრაინელებს პირდაპირ დაუყენეს კითხვა—მართალია თუ არა განცხადება და რას იტყვის ამ კითხვის შესახებ უკრაინელების კონგრესი, რომელიც მალე გაიმართება. გრუშევსკის და სხვების განმარტებამ გამოარკვია, რომ პოლიტიკური მიმდინარეობა სეპარატიული სახით ძალზე სუსტია და ამასაც ოპოზიციაში უდგას შეგნებული ნაწილის უმრავლესობა.

განკარგულება ჟანდარმებისა და პოლიციელების შესახებ.

მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა გრუზინოვმა გამოსცა ბრძანება, რომ ჟანდარმერიისა და პოლიციის აფიცრები არ დანიშნონ როტის, ბათალიონებისა და ცალკე ნაწილების უფროსათ, არამედ უმცროს აფიცრებათ. ასევე უნდა მოექცნენ გოროდოვოებსა და ქანდრებს.

ომის დეპეშები.

(პ. დ. ს. 8 აპრ.)

პარიზი. 6 აპრილი. მდ. სომის რაიონში საარტილერიო სროლა გრძელდება. ენის ჩრდილოეთით მტერი უკან დახევას განაგრძობს, ჩვენ მათ ფეხდაფეხ მივდევთ. მთელი დღის განმავლობაში დავიკავეთ სოფ. ჟუი და ლაფო. გიურგნზის რაიონში მტრის მოსაგერებელი ადგილი დავიკავეთ და 500 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ვერმარიკურას რაიონში წინ მივიწევთ. შამპანში სასტიკი საარტილერიო სროლაა. ობერივას ჩრდ.-დასავლეთით გერმანელების მთელი რიგი სიმაგრეებისა ავიღეთ. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მდ. მაასის მარცხენა ნაპირებთან. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ახალი ამბები

კრება. დღეს კვირას, 9 აპრილს დილის 10 საათზე ავლაბრის თეატრ „პალასში" დანიშნულია თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის რ. ს. დ. მ. პარტიის რაიონული კრება. კრებაზე დაშვებულნი იქნებიან წევრები. ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ.

◆ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ფონდისათვის მივიღეთ მაქსიმე ჩხაიძისაგან 19 მანეთი.

◆ **პოლიტიკური კატორღელი** გიორგი ნესტორის ძე ბაკურაძე იმყოფებოდა არლოვის საკატორღო ციხეში. 10 თვე იქნება რაც მის შესახებ არაფერი გაგვიგია. თუ ვინმემ რამე იცით გთხოვთ გვაცნობოთ გაზეთის საშუალებით. პატივისცემით დედა ანასტასია ბაკურაძისა.

◆ **ყოფილ გუბერნატორის დაპატიმრება.** 7 აპრილს ღამის პირველ საათზე ზუბალოვის ქუჩაზე მილიციის უფროსის თანაშემწე ივ. კახუხაშვილმა დააპატიმრა ერევნის გუბერნატორათ ნამყოფი არკადი სტრელბიცკი.

◆ **პროვოკატორების დატუსაღება.** თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ქ. ბათუმში დაატუსაღეს სოც. ფედერალისტთა პარტიის წევრი, პროვოკატორი ივანე პოლიევქტოს ძე კარბელაშვილი. ის ექვსი წლის განმავლობაში ითვლებოდა საიდუმლო აგენტათ. სხვათა შორის მან გასცა ექიმ მუსხელიშვილის ბინაზე ფედერალისტთა კრება. იმავე კომიტეტის დადგენილებით დაატუსაღეს პროვოკატორი ალექსანდრე არაზის ძე შავერდოვი ამ ბოლო დროს სამხედრო უფროსის კანცელარიაში მსახურობდა.

◆ **ფარმაცევტები და ომი.** 23 მარტს გაიმართა თფილისის ფარმაცევტების არა ჩვეულებრივი კრება. მსჯელობის საგანი იყო ფარმაცევტების მიერ სამხედრო ბეგარისაგან მალვა. გამოირკვა, რომ ზოგი ფარმაცევტი ფაქტიურათ არის ჩაწერილი აფთიაქში და სხვაგან მსახურობს, ზოგიც ნორმალურ აფთიაქს თავს აფარებს და იქ გზათაც არ გავლილა. კრებამ ასეთი მოვლენა დაგმო და დაადგინა დაითხოვონ ყველა ასეთები ფიქტიურ თანამდებობიდან; წინადადება ეძლევა ყველა ამხანაგებს თუ მომავალში მსგავს მოვლენას კიდევ ექნა ადგილი აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება მკაცრ ზომებს მიმართოს.

◆ **ამხანაგების საყურადღებოდ.** ამით ჩვენი რედაქცია გადაჭრით აცხადებს, რომ ვიღაც ბოროტგამზრახველის მიერ გავრცელებული ჭორი ამხ. ა. ბ—ზე ყოველივე საბუთს და საფუძვლიანობას მოკლებულია.

◆ **დამარცხებულნი.** ხვალ, 10 აპრილს, ავლაბრის თეატრ-პალასში ძველ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პ. ირეთელის დრამა მუშათა ცხოვრებიდან „დამარცხებულნი". წარმოდგენის დასრულების შემდეგ დაიდგმება ცოცხალი სურათები დღევანდელ დროის შინაარსით. ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია.

◆ **სახალხო სახლი.** ორშაბათს, 10 აპრილს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ექიმი შტოკმანი", ანუ „ხალხის მტერი". ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოთ** ალექსანდრა ჯულელისაგან მივიღეთ 28 მ. 50 კ. შეგროვილი რკინის გზის შემნახველ გამსესხებელ კასის მოსამსახურეებში.

◆ **კამეტას ფაბრიკის მუშებმა** შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს დეპუტატ ჩხეიძეს მისი საყვარელი ვაჟის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო: „კომეტის ფაბრიკის მუშებს თავზარი დაგვცა იმ უბედურებამ, რომელიც თქვენ დაგატყდათ თავს. იმედი გვაქვს, რომ თქვენ არ დაეცემით სულიერათ და კვლავ გაგვიძღვებით წინ სახელოვანი შვილო თავისუფალ რუსეთისაო". კამეტას ფაბრიკის მუშების მონდობილობით ვენედიქტე თევზაძე.

◆ **კრება.** დღეს, დილის 10 საათზე კარაპეტიანცის ბაღში (მიხეილის ქუჩა, № 65) დანიშნულია ბეჭვდითი საქმის მუშათა საზოგადო კრება, სადაც უნდა არჩეულ იქნას გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები და მათი კანდიდატები. ამავე კრებაზე უნდა გადისინჯოს და დამტკიცდეს პროფესიონალურ კავშირის წესდება, რომელსაც წარმოადგენს მათ მიერ ამორჩეული კომისია.

◆ გამგეობა პროფესიონალური კავშირის, რესტორანების, კლუბების, სასტუმროების, სახაიე-საყავეებისა—გთხოვთ უმუშევარ ამხანაგებს, ორშაბათს, 9 აპრილს, დილით, 10 საათზე შემოიარონ პროფესიონალური კავშირის შენობაში უმუშევართა საკითხების გასარჩევათ.

◆ ორშაბათს, 10 აპრილს, დილის 10 საათზე დანიშნულია საერთო კრება მუშა-მეჩექმეთა, ევროპიულ და აზიურ მეწუღეთა, შორნიკთა და ტყავზე მომუშავეთა მუშების სახელოსნო კლუბის დარბაზში. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე საკითხები, 2) პროფესიონალური კავშირის შესახებ, 3) საორგანიზაციო კომისიის არჩევნები, 4) მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა. ვთხოვთ ყველა ამხანაგებს ვისაც კი აინტერესებს მუშათა საკითხი უთუოდ დაესწროს ზემოაღნიშნულ კრებაზე.

◆ **პროვოკატორი ლადო ბერიძე.** დუშეთში დაატუსაღეს ლადო ბერიძე და 25 მარტს ჩამოიყვანეს თფილისში. ბერიძე მუშაობდა 1907 წლამდის სოც.-დემ. პარტიაში. დაკითხვის დროს იგი გამოტყდა თავის დანაშაულობაში. უკანასკნელ ხანებში ბერიძე მასწავლებლობდა.

◆ **თფილისის კომენდანტის უფროს ადიუტანტად** ერთხმად არჩეულ იქმნა პოდპორუჩიკი დავით ქარცივაძე.

◆ **„ერთობის უბნის"** (უმალ ნადიროვკათ წოდებული) კომიტეტმა გადასწყვიტა ამავე უბანში გახსნას მუშათა კლუბი. საწევრო გადასახადი 50 კაპეიკი იქნება. სანამ კლუბი მოეწყობოდეს კომიტეტის წევრებმა თავისი ხარჯით გახსნეს სამკითხველო (სამოვილნი ქუჩა 22), რომელსაც მოსდის შემდეგი გაზეთები: „ერთობა", „სახალხო ფურცელი", „საქართველო", „კავკ. რაბოჩი", „იზვესტია ს. და მუშ. დეპ." „ფაიქარი", „ვოზროჟდენიე", „ტიფლ. ლისტოკი", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხ." და „ნაკადული".

მამასახლისთა საბჭო „ახალი საკრებულოსა"

(ყოფილი ხარფუხის კლუბი).

ამით აუწყებს, ბბ. კლუბის წევრთ: რომ კვირას, 9 აპრილს კლუბის შენობაში დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება.

კრება კანონიერათ ჩაითვლება როგორც მეორეთ მოწვეული.

განსახილველი საგნები: 1) მოხსენება მამასახლისთა საბჭოსა მისი 1916 წ. მოღვაწეობის შესახებ. 2) განხილვა ანგარიშებისა და მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3) მოხსენება სხვა და სხვა მიმდინარე კითხვებზე. 4) არჩევა მამასახლისთა, მათ მოადგილეთა და სარევიზიო კომისიისა. 5) არჩევა კლუბის წევრთა და მათ მოადგილეთა.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ხაშური. ხაშურის ალმ. კომიტეტში შედიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო; წარმომადგენლები ალმასრულებელ კ—ში არჩეულია ალმ. ბიურო 7 კაცისაგან: პრაპორშჩიკი კირილიუკი, ჯარისკაცი პარფენჩუკი, ქ. ნინიძე, ნ. იმნაიშვილი, თ. ჭუმბურიძე, ქ. გაგუა, დ. მელიქაძე; ალმ. კომიტეტში არსებობს: სამილიციო, საფინანსო და სასურსათო კომისიები; ამავე კ—ში არსებობს სოფელში მომუშავე ბიურო: ქ. გაგუა, დ. მელიქაძე, ნ. სიხარულიძე, ე. კარბელაშვილი, ქ. ნინიძე და ნ. იმნაიშვილი. კომიტეტი მეტად ენერგიულად მუშაობს, თავის მოქმედებას სოფელში ავრცელებს და უკვე დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა საზოგადოებაში.

მუშათა საბჭოებში.

დ. ახალსენაკის მუშათა დეპუტატების საბჭოში.

პარასკევს, 24 მარტს საღამოს 9 საათზე შესდგა კრება მ. დ. საბჭოსი. 14 დან დაესწრო 8. ამის მიზეზი ის იყო, რომ დელეგატები გაფანტული არიან ახ. სენაკიდან დაშორებით რკ. გზებზე. დაესწრნენ ს. დ. პარტიის წარმომადგენლები და გარეშენიც. შესდგა ალმასრულებელი კომიტეტი 7 კაცისაგან, 3 თვით საბჭოდან, 4 კოოპტაციით. მუშათა საბჭო მაზრის ალმასრულებელ კომიტეტში გზავნის 5 კაცს. კრებაზე გამოირკვა, რომ ჯერჯერობით არა დგას ის საბჭო თავის სიმაღლეზე. ამიტომ გადაწყდა მეტი ენერგიით შეუდგენ საქმეს და მოუწოდონ გარეშეებს დახმარებისათვის.

კრებამ იქონია რა მსჯელობა ადგილობრივ ძველი ადმინისტრაციის შესახებ, დაადგინა: ყველა სტრაჟნიკები და პოლიცია, არასაიმედონი, გაგზავნილ იქნენ ფრონტზე. დაევალა მ. ს. ალმ. კომიტეტს გადასინჯოს მილიციის შემადგენლობა და არასასურველნი დაითხოვოს.

დადგენილ იქმნა ჯარისკაცებთან იქონიონ მჭიდრო კავშირი. მ. დ. ს. კრება გადაწყდა გაიმართოს კვირაში ერთხელ შაბათობით საღამოს 7 საათიდან, ხოლო ალმასრულებელ კომიტეტისა ყოველ დღე.

პრაპ. ამხ. ალ. გამსახურდიას, სენაკის მაზრის მილიციის უფროს, ეთხოვა დისციპლინა და წესრიგი შეიტანოს მილიციაში. კრება დაიხურა ნაშუადღევის 2 საათზე.

კრების დახურვიდან იხსნება ალმ. კომიტეტის სხდომა, სადაც აირჩა პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ან. ანჯაფარიძე, მდივნად გ. ჩიქვანი, მდივნის ამხ. ირ. სალაყაია. ამით სხდომა დაიხურა.

გ. ზ—ნი.

ქიათურის მუშათა დეპუტატების საბჭოში,

25 მარტი. კრებამ მოისმინა მოხსენება საქარხნო და სასოფლო კომისიისა, სასოფლო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სოფელში საჭიროა ენერგიული და მცოდნე პროფესიონალური მუშაკების გაგზავნა. საბჭომ მიიღო, დაარსებინა შტატი პროპაგანდისტ აგიტატორებისა და დაინიშნა ჯამაგირი. ხიზანაშვილს წინადადება შემოაქვს. რადგან ფოთის ჯარისკაცებს გაზეთებს აწვდის ადგილობრივი კიოსკი საკუთარი ხარჯით ჩვენი ვალია ამ სიმპატიურ საქმეში წავეხმაროთ ჩვენს ამხანაგებს. გადასწყდა გაეგზავნოს კიოსკს 50 მ. ფოთის ჯარისკაცთათვის გაზეთების მისაწოდებლად. რადგან კრებას ეცნობა, რომ ქუთაისის ამხანაგები ჯარისკაცთათვის სააღდგომო საჩუქრების დასარიგებლად დახმარებას ითხოვენ. დაადგინა ვინაიდან საბჭოს საკმაო თანხა არ აქვს გამოართვას ალმასრულებელ კომიტეტს სესხის სახით ორასი მანეთი და გაეგზავნოს ქუთაისის ამხანაგებს. ყოფილ ბოქაულ ალხაზიშვილზე, რომელსაც ბრალდება აუარებელი ქრთამების აღება, ჯარში თავის ნებით გაგზავნა იმ მუშების, რომელთაც განთავისუფლების მოწმობა ქონდათ „ბარონაზედ" მომუშავე ქარხნებიდან და მრავალ ადგილებში ჯაშუშთა ორგანიზაციების მოწყობა, კრებამ დაადგინა: მოეთხოვოს ალმასრულებელ კომიტეტს დააპატიმროს ალხაზაშვილი და გაგზავნოს ქუთ. ციხეში, როგორც თავისუფლებისათვის მავნე პირი.

27 მარტი. თავმჯდომარეა ხახანაშვილი. კრება ერთხმად ღებულობს კოოპტაციით ციმბირიდან ახლად დაბრუნებულ ამხ. გალ. გაშაძეს და გადამალულ ამხანაგებს კ. წერეთელს და ზ. გურულს. კრებას მოხსენდა, რომ დ. ყვირილაში, საჩხერეში და ხორაგოულის კომიტეტებს მილიციონერებათ ყოფილი სტრაჟნიკები დაუტოვებიათ. კრებას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ კონტრრევოლიუციის მხრით საშიშ პირობებს და მოვაგონებთ პეტროგრადის დროებით მთავრობის დადგენილებას „ძველი პოლიცია და ჟანდარმერია" იხსნება და ფრონტზე იგზავნება; ვაძლევთ წინადადებას ზემოაღნიშნულ ადგილების კომიტეტებს დაითხოვონ ძველი სტრაჟნიკები და გადასცენ „ვოინსკი ნაჩალნიკს". კრება ღებულობს მხედველობაში, რომ ალმასრულებელ კომიტეტის და საბჭოს ერთად მოთავსება საჭიროა. არჩეულ იქნეს ორივე ამ დაწესებულებიდან შერეული კომისია ბინის გამოსაძებნათ. გაზეთების გასავრცელებლათ საჭიროა კიოსკის დაარსება გაღმა ბაზარში, რისთვისაც იქნა არჩეული კომისია. დასასრულ თავმჯდომარე იძლევა წინადადებას გაეგზავნოს ორი დეპეშა კაკი წერეთელს, როგორც დელეგატს და განთავისუფლებულ მებრძოლს. ამ წინადადებას კრება აღტაცებით ღებულობს, და თავმჯდომარეს ავალებენ გაგზავნოს. აი დეპეშის შინაარსიც. პირველი: ქიათურის მუშათა დეპუტატების საბჭო გიძღვნით ამხანაგურ სალამს წმინდა იდეალებისათვის მებრძოლს და გისურვებს ჯანმრთელობას იმ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელსაც დაიდო საძირკვლათ შენი და შენი ამხანაგების ძალა სიცოცხლე". მეორე: „ქიათურის მუშათა დეპუტატების საბჭო გესალმებით როგორც კავკასიის დელეგატს და პროლეტარიატის იდეალებისათვის შეუპოვარ მებრძოლს. დარწმუნებული ვართ, რომ შენი ყოფნა პეტროგრადის საბჭოში საუკეთესო თავმდებია დიდი რევოლიუციის გამარჯვებისა ბოროტ მტერზე".

ანდრე.

ტფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების დელეგატთა კრება.

7 აპრილს ყოფილ მეფის მოადგილის სასახლეში გაიმართა თფილისის გუბ. სახალხო მასწავლებლების ფილიალურ განყოფილებების დელეგატთა კრება, რომელზედაც გამოცხადდა 92 დელეგატი. კრება გახსნა მთავარ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ვ. ბურჯანაძემ. კრების გახსნამდის წინადადება შემოვიდა ახალციხის გიმნაზიის მასწავლებლის ბ. დანელიას მიერ, რათა მას კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება მისცემოდა, როგორც ახალციხის უმაღლეს ტიპის სკოლების მასწავლებელთა კავშირის დელეგატს. გამგეობისადმი სასაყვედურო სიტყვაში ბ. დანელიამ სახალხო მასწავლებელი ვ. გარდაფაძე „უბრალო" მასწავლებლად მოიხსენია; რაზედაც კრებამ მას სასტიკი პროტესტი გამოუცხადა. ბოდიში მოახდევინა და მისი წინადადებაც უყურადღებოთ დასტოვა, კრების თავმჯდომარედ შემდეგ ისევ ვ. ბურჯანაძე აირჩიეს. თანაშემწეებათ ყაზბეგი და ღვინიაშვილი. მდივნად გ. ნაკაშიძე და აზოვი. კრების გახსნისას მასწავლებლებს მიესალმა ამიერ კავკასიის კომისარი დეპ. აკ. ჩხენკელი, რომელსაც კრება მხურვალე ტაშის ცემით მიეგება. ბ. ჩხენკელმა კრებას სიტყვით მიმართა, რომელშიც მან ნათლად აღნიშნა ძველი მთავრობის ხელში აუტანელი პირობები, რომელშიდაც უხდებოდა მუშაობა სახალხო მასწავლებელს. მან თქვა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდის ჩვენ განსაკუთრებით „ინოროდცებს" ნამდვილი სკოლა სრულიად არ გვქონდა და. მის აღსადგენად მან აღნიშნა სახალხო მასწავლებლის მოვალეობა დღევანდელ სერიოზულ მომენტში, დიადი რევოლიუციის ხანაში მან ხაზი გაუსვა ამჟამად სოფლად შეუგნებელ მასაში მუშაობას, რომელსაც ამ ხანად საქმე აქვს და ექნება ისეთ სერიოზულ კითხვებთან, როგორიცაა დროებითი მთავრობასთან დამოკიდებულება, დამფუძნებელი კრების მოწვევა, დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა და სხვა ასეთები, რომლებზედაც შეუგნებელ მასას თითქმის არავითარი წარმოდგენა არ აქვს და მათი ახსნა-განმარტება კი ზნეობრივად სახალხო მასწავლებელს ევალებაო. სიტყვებით მიმართეს მას აგრეთვე მასწავლებლებიდანაც. თვით თავმჯდომარემ ვ. ბურჯანაძემ, ჯაფარიძემ, გ. ნაკაშიძემ და სხვებმა ყველა ორატორები უსურვებდენ რევოლიუციის სრულ გამარჯვებასა და პირადად აკ. ჩხენკელს კი ჯანმრთელობას და ენერგიას. ამის შემდეგ ბ-მა ჩხენკელმა უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა და გამოემშვიდობა. კრებამ ის დიდი ოვაციებით გაისტუმრა.

შემდეგ ამისა კრება იხურება 3 საათზე და ახლდება 7 საათზე. თავმჯდომარის წინადადებით მისალმების დეპეშები ეგზავნება დროებითი მთავრობას, სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირსა და სამძიმრის დეპეშა კ. ჩხეიძეს. შემდეგ დღის წესრიგში ისმება კითხვა მოწაფეების დათხოვის დროს შესახებ. ამ კითხვის შესახებ კრებამ მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი პოლიტიკური მომენტი, როდესაც მასწავლებელი მეტ საჭიროებას წარმოადგენს სკოლის გარეთ, ხალხში, ვიდრე სკოლაში, დაადგინა: პროვინციის ყველა პირველ დაწყებითი სასწავლებლებში მოწაფეები დათხოვილ იქნეს 10 აპრილიდან და მასწავლებლებს კი დაევალა სოფლად მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციების და კომიტეტების მოწყობა, საკვირაო სკოლებისა და სახალხო კითხვების მოწყობა და უმთავრესად კი მიმდინარე კითხვების მასაში ახსნა-განმარტება.

უკანასკნელად გაირჩა სამოსწავლო საოლქო და საგუბერნიო ადმინისტრაციის გადაყენების საკითხი. კრებამ დიდი ხნის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით დაადგინა ყველა, როგორც საოლქო ისე საგუბერნიო ადმინისტრაცია გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან, როგორც ძველი მთავრობის ერთგული მოსამსახურე და ახლისათვის კი გამოუსადეგარი პირები და მათ ადგილზე მოწვეულ იქმნეს შესაფერი კანდიდატები.

ღამის 11 საათზე კრება შეწყდა. შემდეგი კრება დაინიშნა 8 აპრილისთვის დილის 10 საათზე.

ნოდე.

პროვინციელი ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! გაიჩინეთ ყველგან საკუთარი პასუხის მგებელი კორესპონდენტები და მოგვაწოდეთ მოკლე ცნობები ყოველი მხრიდან, განსაკუთრებით მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტ. საბჭოებისა და სოც.-დემ. პარტიის ცხოვრებიდან. რედაქცია.

პ. აქსელროდის წერილი.

„რ. გაზეთის" № 18 მოთავსებულია რუსეთის სოც.-დემ. პარტიის გამოჩენილი ბელადის პ. აქსელროდის კერძო წერილი, რომელშიაც იგი ეხება თანამედროვე მომენტს და აფასებს მას დაახლოვებით ისე, როგორც პეტროგრადის მუშათა და ჯარ. კაცთა დეპუტატების საბჭო.

ჩემთვის, სწერს პ. აქსელროდი, მნიშვნელობა აქვს არა დროებითი მთავრობისადმი მიმართვას და ომის შეწყვეტის შესახებ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე იმედების დამყარებას, არამედ მუშ თა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოსადმი, როგორც რევოლიუციონური პროლეტარიატის ორგანიზაციისადმი მიმართვასა და მოწოდებას, რომელმაც პროლეტარიატის მეთაურობით ერთის მხრით უნდა მოსთხოვოს დროებითი მთავრობას შეუდგეს მოლაპარაკებას მოკავშირე მთავრობასთან (ინგლისის, საფრანგეთის და იტალიისა) ომის ლიკვიდაციის შესახებ, და წინასწარ სამზადისს საზოგადო ზავის პირობების მოსაგვარებლათ. მეორეს მხრით—და ეს, თუ მეტათ არა, ნაკლებათ საყურადღებო არაა—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ვალათ აწევს დაუყონებლივ მოწოდებით მიმართოს ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებს, განსაკუთრებით პროლეტარიატს ავსტრო-გერმანიისა და საფრანგეთისა და დაჟინებით მოსთხოვოს დაუყონებლივ შეუდგეს საერთაშორისო კონგრესის ორგანიზაციას ნაციონალისტური პოლიტიკის სალიკვიდაციოთ და ზავის გასამტკიცებლათ, თანახმათ სოციალისტურ პროლეტარიატის ნაციონალური და ინტერნაციონალურ კონგრესებზე მიღებულ პრინციპებისა. მგონია, რომ სწერს პ. აქსელროდი თავის კორესპონდენტს—არ მომთხოვთ იმის განმარტებას, რატომ გადამაქვს ზავისთვის ბრძოლის ლოზუნგი პირველ რიგში და არ მოვითხოვ მთავრობისაგან sans phrase ომის შეწყვეტას. აშკარაა, რომ განსაკუთრებული პოლიტიკური შორს მჭვრეტელობა და ტაქტი არაა საჭირო იმის გასაგებათ, რომ მთავრობა მთელი თავისი წარსულით გადაჯაჭვულია ამ ომთან და ამიტომ თითონ სრულიად დამოუკიდებლად ვერ შესძლებს ამ მოთხოვნილების განხორციელებას ფრიად საყურადღებო მოსაზრებათა გამო. ჩვენთვის, ბრძოლა ზავისათვის, არ უნდა ნიშნავდეს მთავრობის წინააღმდეგ უბრალო თავაშვებულ შეტაკებას ვიწრო ნაციონალურ ფარგლებში; ეს მხოლოდ დააჩქარებდა, ანდა ძლიერ ნაადრევათ გამოიწვევდა რევოლიუციონურ ბანაკში (ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით) საშიშ ბრძოლას ერთი-მეორის წინააღმდეგ და უფსკრულს გათხრიდა რევოლიუციონურ მთავრობასა და სოციალისტურ პარტიის შუა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რევოლიუციას დიდი საფრთხე მოელის სხვადასხვა მხრიდან.

დადებითი რევოლიუციონურმა მუშაობამ, სოციალდემოკრატიის შემოქმედებამ თავი უნდა იჩინოს განსაკუთრებით ძველი რეჟიმის მემკვიდრეობის რადიკალურ ლიკვიდაციაში და თანდათანობით გაატაროს ცხოვრებაში მთავრობის მიერ აღიარებული პროგრამა, ე. ი. სახელმწიფოს წესწყობილების სრული რეორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძველზე. ამიტომ, სხვათა შორის, სიხარულით ვესალმები ჩვენების ნაბიჯს—ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გადაყენებას მთავარსარდლობიდან.

აკაკი ჩხენკელი ქუთაისში.

დეპუტატი აკაკი ჩხენკელი 31 მარტს საჩქაროთ ქუთაისისაკენ გაემგზავრა, ვინაიდან ამბავი მოვიდა—პარტიული დამოკიდებულება სოც.-დემ. და ფედერალისტებს შორის მეტათ გამწვავდა და არა სასურველი ექსცესებიც მოსალოდნელი არისო. სადგურებზე დეპუტატს ხალხი წითელი დროშებით ხვდებოდა და მას სალამს უძღვნიდენ. ქუთაისი განსაკუთრებულის ზეიმით შეხვდა დეპუტატს, თუმცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა ხალხს დასახვედრათ არ მოუწოდოს და არც მაღაზიები დაკეტვინოს, მიუხედავათ ამისა მაინც დიძალ ხალხს შეეყარა თავი. აქვე იყო გამწკრივებული საპატიო ყარაული; ქუთაისის გარნიზონის უფროსმა დეპუტატს რაპორტი ჩააბარა. ამის შემდეგ დეპუტატი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებთან ერთად ქუჩაზე გამოვიდა, სადაც ტრიბუნა იყო ამართული. მთელი მოედანი ხალხით და ჯარით გაივსო. აქ სიტყვები წარმოსთქვეს ილია ჩიქოვანმა, გრიგოლ გიორგაძემ, ჯარისკაცთა წარმომადგენელმა, გრ. გველესიანმა, გოზეჩიამ და სხვებმა. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიშა არსენიძემ, რომელიც მაშინ დაბრუნდა ციმბირიდან და რომელსაც გრ. გიორგაძემ პარტიის სახელით სალამი უძღვნა. ბოლოს ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა, რომელშიც რევოლიუციის გასაღრმავებლათ და დასამთავრებლათ ყველა რევოლიუციონურ ძალებს ერთობასა და შეთანხმებულ მუშაობისაკენ მოუწოდა. ამის შემდეგ დეპუტატი წითელი დროშებით მორთულ ეტლით ქალაქის თვითმართველობისაკენ წაიყვანეს. ქუჩები ხალხით გაჭედილი იყო, ყველგან დიდის აღფრთოვანებით ხვდებოდენ. მუშათა დეპუტატების საბჭოს წინ მუშა მანდარიამ სიტყვით მიმართა დეპუტატს. სოც.-რევოლიუციონერების კლუბთან სოც.-რევოლიუციონერების სახელით სიტყვები წარმოსთქვეს. ქალაქის თვითმართველობის აივნიდან დეპუტატმა ხალხს, რომელმაც გააცილა, მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სიტყვები ბევრი ითქვა, ახლა კი საქმის დრო დადგა და მოუწოდა ყველას რევოლიუციის განმტკიცების საქმეში თავისი წვლილი შეეტანა.

ამის შემდეგ გაიხსნა აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სხდომა. თავმჯდომარე ილ. ჩიქოვანმა გააცნო დეპუტატს ქუთაისში ალმასრ. კომიტეტის დაარსების ისტორია, მისი შემადგენლობა და ის ნაბიჯები, რომელიც აქამდის კომიტეტს გადაუდგამს. თავის მხრით დეპუტატმა გააცნო კომიტეტს თავის მისია და კითხვების წესრიგი წარუგინა, დეპუტატმა ისურვა იმავე დღესვე, 1 აპრილს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შეერთებულ სხდომის მოწვევა, აღდგომისათვის კი პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირის მოწყობა. კომიტეტმა წესრიგი მიიღო. იმავე დღეს საღამოს 5 საათზე შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შეერთებული კრება. კრებას ევგენი გეგეჭკორი თავმჯდომარეობდა, რომელმაც სიტყვით მიმართა დეპუტატს და მიესალმა მას, როგორც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების მთავარ კომისარს ამიერ-კავკასიაში. დეპუტატს ოვაციები გაუსართეს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენლებმა გააცნეს ამხ. ჩხენკელს თავისი მოქმედება. ბოლოს ამხ. ჩხენკელმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ნათლად დაასურათა რევოლიუციის პირ. დღეები პეტროგრადში და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დაარსებისა და მისი მოქმედების ისტორია. მოუწოდა კრებას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შეერთებისაკენ და საერთოდ გაერთიანებულ საქმიანობისაკენ.

საბჭოების მუშაობა თუმცა აქამდისაც შეთანხმებულათ სწარმოებდა, მაგრამ სურვილი გამოითქვა, რომ ამ შეთანხმებას ორგანიზაციული ფორმები მიეცეს.

2 აპრილს დილით გაიმართა სოციალ დემოკრატების და სოციალისტ-რევოლიუციონერთა კრება. დეპუტატს ამხანაგებმა გააცნეს საქმის ვითარება, აღნიშნეს, რომ სოციალდემოკრატები თავიდანავე შეთანხმების გზას ადგენ. პირველათ მათ მიმართეს ყველა პარტიას, რომ ერთად ემოქმედნათ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ცოტა ხნის შემდეგ ფედერალისტებმა ეს დაარღვიეს, გამოეთიშენ რევოლიუციონურ ორგანიზაციას და თვით დაიარსეს „სოციალისტ-ფედერალისტების მუშათა დეპუტატების საბჭო". ამის გარდა ფედერალისტები ჯარშიაც შეეცადენ გათიშვის შეტანას.

ამის შემდეგ შესდგა ნაციონალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების კრება. დეპუტატს მხურვალე ტაშისცემით მიეგებენ. აქ ბევრი რამ ითქვა. უმთავრესათ პარტიათა შორის უთანხმოების მიზეზათ სოციალ-დემოკრატიას ასახელებდენ, ამასთანავე ნორმალურ მოვლენათ სთვლიდენ მეორე მუშათა დეპუტატების საბჭოს არსებობას. ბოლოს სიტყვა აიღო აკ. ჩხენკელმა, რომელმაც კრებას განუცხადა, რომ ის მედიატორე არ არის, და არავის არ ასამართლებს. მან აღნიშნა, რომ ამ კრებაზე საერთო მომენტზე არავის უფიქრია და ეს უდიდესი მნიშვნელობის გარემოება დაიჩრდილაო. პირველ რიგში დღეს რევოლიუციის გაძლიერების საკითხი სდგასო. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უთანხმოებას იწვევს, მხოლოდ ორი მუხლი: ფედერალისტების მუშათა დეპუტატების საბჭოს არსებობა და ჯარში სეპარატიული გამოსვლები. მან აღნიშნა მომენტის სიმწვავე და მოუწოდა კრებას შეთანხმებისაკენ. მით უფრო, რომ ორივე მხარე აღიარებს პრინციპიალურათ ხსენებულ საბჭოს არსებობის არასასურველობას და არავინ არის წინააღმდეგი მისი, რომ ჯარში სეპარატიული გამოსვლები არ იყოს.

საღამოს 5 საათიდან დაიწყო ჯარისკაცთა მიტინგები. გაიმართა ორი უზარმაზარი მიტინგი. დეპუტატს დიდი აღფრთოვანებით შეეგება ჯარი და დიდი ყურადღებითაც მოუსმინეს.

საღამოს 10 საათზე გაიხსნა აღმასრულებელ კომიტეტის კრება. აკაკი ჩხენკელმა აქ რეზიუმე უყო ყველა იმას, რაც მთელი დღის განმავლობაში მოისმინა და [illegible] გამოსთქვა, რომ შეთანხმება შესაძლებელია. მან ისევ წინ წამოსწია ორი საკითხი, რომელთა სასურველათ გადაწყვეტა შესაძლებელი არის, ეს—მუშათა დეპუტატების საბჭოს და ჯარში მუშაობის საკითხი. საყურადღებო იყო რუსი ჯარისკაცის გამოსვლა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან სთქვა: როგორ შეიძლება ვინმემ დაგვწამოს, რომ თავისუფალი რუსის ხალხი ვისმეს თავისუფლების მოწინააღმდეგე იყოს, ჩვენ ყოველთვის აღტაცებით შევეგებებით ყველას თავისუფლებას, მაგრამ გთხოვთ ცოტა ხანს ჯარში გვაცალოთ, ცუდი ატმოსფერაა და დაგვაშოშმინებიითო. ფედერალისტებმა აქაც განაცხადეს მეორე მუშათა დეპუტატების საბჭოს არსებობა საჭირო აღარ არისო, მაგრამ იძულებული ვიყავით, ვინაიდან სოც.-დემოკრატებმა პრეზიდიუმში ადგილი არ მოგვცესო.

ბოლოს კომიტეტმა აირჩია კომისია, რომელიც ამ შეთანხმების დეტალიზაციას მოახდენს.

3 აპრილს დილით დეპუტატი ბათუმს გაემგზავრა.

მოსკოვი რევოლიუციის დღეებში.

(გაგრძელება).

ჯარი დაბანაკდა დუმის წინ მოედანზე. დილაა. შევდივარ დუმაში დიდი წვალების და ჯახირის შემდეგ. ჯერ კიდევ ცხრა საათია და ხალხით სავსეა მოედანი. წესრიგი მეფობს. დუმა გატენილია ჯარით და ხალხით. ამ უზარმაზარი შენობის მრავალი ოთახები დაკავებულია რევოლიუციონერებით. ტელეფონების რაწკუნით ყურთასმენა არ არის. გაფაციცებული მუშაობაა. აგერ საინფორმაციო ბიურო. აგერ სასადილო კომისია. პროპუსკების კომისია. საავტომობილო. სარედაქციო. იარაღის. სარევიზიო და სხვა მრავალი. მუშათა დეპუტატთა საბჭო. აღმასრულებელი კომისია. მათი სეკრეტარიატი. ნერვიული ცხარე მუშაობა. ადამიანს თავბრუ ეხვევა. მუშაობა პირველათ არეულია. მაგრამ ნელნელ კალაპოტში ვარდება, როგორც აქაფებულ-აფორიაქებული და მერე დამშვიდებული მდინარე. აქაა ცენტრი. აქედან მოდის ბძანება. აქედან იძლევიან დირექტივებს. აქაა ახალი სამხედრო შტაბი, აფიცრები გარბი-გამორბიან. იარაღის ჯახუნი. დეზების რაწკუნი. სტუდენტობა გარს შემოხვევია. მილიციაში ეწერება. ათ-ათი კაცი თავის მეთაურით იარაღს ღებულობს. სტუდენტები ცარიელ თოფზე სროლას სწავლობენ. ჩ ხმას ეჩვევიან. არის ჯახაჯუხი. აურზაური. მრავალ ნაცნობ სახეებს ვხედავ. რუსები, ქართველები. სახის იერი ყველას გამოსცვლია. მეტი გამბედაობა, მეტი სიმკვირცხლე. თვალები ცეცხლს აფრქვევენ, გული ჩქარობს. გული ილტვის.

ავდივარ მეორე სართულზე. აქ წუხელი მთელი ღამე მუშაობდენ. აგერ დაღალულნი სტოლებზე გაშოტილან, პალტოები წაუხურავთ და სძინავთ. ზოგი სკამზე ჩამომჯდარა. ზოგს დუმის „დელოები" გაუწყვია და ზედ მოფთხნილა. აქ ვხედავ ძველ ამხანაგებს. უწინ ერთად გვიმუშავნია. მაგრამ მერე დაგვიკარგავს ერთმანეთი. აღტაცებით მხვდებიან.—რას მოესწარით, რას ვხედავთ—მეძახის ერთი.—სიზმარია, მოჩვენებაა, ამბობს მეორე. და მართლა ესეთი რამ სიზმარი გონია ადამიანს, რომელიც ამაზე ფიქრში და ამისთვის მუშაობაში ატარებდა თავის სიყმაწვილეს და მაინც კი ამ ბოლო დროს გული გატეხილი ქონდა.

უცბათ მგრგვინავმა ურამ შეანძრია დუმის მძიმე კედლები. გამოვრბივართ გარეთ. ეს ხალხი და ჯარი ხვდება ხალხის მხრეზე გადმოსულ არტილერიას. მოაგორებენ ზარბაზნებს. ურას ძახილს ახლო მახლო უზარმაზარი სახლები ბანს ეუბნებიან. გონია ყველაფერი გაცოცხლდა. ყველაფერი ხმაურობს. უცბათ მარსელიოზა მოისმის. მუსიკა უკრავს. ეს ყაზახებია. ყაზახები მუსიკის კვრით, მარსელიოზის ჰანგით მიადგენ დუმას. ურა და ურა. ურას ძახილს, ქუდების ქნევას დასასრული არა აქვს.

მუშათა საბჭო ფურცლებს უშვებს: „სარევოლიუციო ბიულეტენები". ხალხი იტაცებს. ჯარი იტაცებს. არ ყოფნის. გავრბივართ რედაქციაში. სტამბებში. გაცხარებული მუშაობაა. ასით ამწყობები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ. იბეჭდება მოწოდება ჯარს. მოწოდება ხალხს. თავისუფალ მოქალაქებს.

პირველი მარტი. დიდებული ღამე. ამ საღამოს დაიმსხვრა ციხეთა ბუდეები, ამ საღამოს დაინგრა, დასკდა საკატორღო ცენტრების კედლები: თავისუფლება მოეფინა პოლიტიკურებს. ძნელია იმის თქმა თუ რა განიცადეს მაშინ მათ, ვინც სახალხო საქმისათვის თავი დასდვეს და 10 ან 12 წელიწადი საკატორღო ციხეებში გაატარეს. რუხ მაზარებში ჩაცმულნი, ფეხებზე ხის ქოშებით მიდიოდენ და მოდიოდენ პოლიტიკურები დუმაში. მოესწრენ: ხალხის ძლიერმა მაჯამ გაანთავისუფლა ისინი; ხალხის რევოლიუციონური სულის შებერვით დაუმსხვრია მათ რკინის ბორკილები: და არაღუნდა, ატირდა, აკვნესდა რკინის ბორკილები: მათ დაკარგეს პატრონები, მათ დაკარგეს თავის ფასი.

დუმაში ვარ—მუშათა საბჭოს კომიტეტში. უცბათ ორი რუსი შემოდის რუხ მაზრაში და ზურგზე ბარგ მოკიდებული. მომუშავენი მუშაობას წამით თავს ანებებენ და გარს ეხვევიან. **ულოცავენ.**

— თქვენ ხომ ქართველი ხართ?

მეკითხება ერთი მათგანი.

— დიახ! მერე თქვენ საიდან მეტყობთ?

— ისე, სახით გიცანით; მე კავკასიაში ვმუშაობდი. 1907 წელში ქუთაისის ციხეში ვიჯექი. და ჩამომიყვა ბევრი ქართველი ნაცნობის გვარები.

აღტაცებული დღევანდელი ამბებით. სიხარულისაგან ჭამაც დავიწყნია. ვეკითხები ქართველები თუ მოვიდენ: ყველანი წამოვედითო და მეც გავრბივარ ზემო სართულში დიდ ზალისკენ, სადაც პოლიტიკურები მიიყვანეს.

კალმით აუწერელი სურათია! ენით გამოუთქმელი სანახაობა! გაჭედილია უზარმაზარი ზალა. ტუსაღები სიხარულისაგან ერთმანეთს დახვევიან, ეხვევიან და კოცნაში ახჩობენ თავის სიყვარულს. არის ერთი ჟრიამული. ყიჟინა, კოცნა, ულოცავენ ერთმანეთს ბედნიერ დღეს. ყველა იცნობს ერთმანეთს. ვეკითხები თუ ქართველები სად დგანან. მიმითითეს კუთხისკენ. სამი ქართველი აგერ სდგას, აქ უკვე მოუსწრია ერთ ჩემს ამხანაგს და ემუსაიფება მათ.

— გამარჯვება თქვენი!—შევსძახე, ხმის ამოღება და გადახვევნა ერთი იყო... ძნელია, ძნელი იმ წუთის აწერა, რასაც მაშინ განვიცდიდი. შემოდის დუმაში მომუშავე რევოლიუციონერები და ყველანი კოცნიან, ყველანი ეამბორებიან ტუსაღებს. და ღირს კიდეც. ღირსნიც არიან, რომ მათ ეამბორონ; მათ ხომ სიცოცხლის საუკეთესო წუთები ციხის ცივ კედლებში გაუტარებიათ! ძნელია, ძნელი იმის თქმა თუ რას განიცდიდენ ისინი, ვისთვისაც დღეს რევოლიუციის საყვირმა ციხის კედლები შეანძრია და ჩაკირული აგურები გადმოანგრია. რას განიცდიდენ? როგორ განიცდიდენ თავისუფლების პირველ წუთს?

მთელი დღე ქუჩებში „გრუზოვოი“ ავტომობილები დაგრიალებენ: მილიციონერები ქალაქს ზვერავენ. პოლიციელებს აპატიმრებენ, საქონლებს რეკვიზიციას უშვრებიან, რასაკვირველია, აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით. ავტომობილები წითლათ არის მორთული, განსაკუთრებით ერთი: ლენტებით არის გადაკრული; ხალხი ყოველ ქუჩაზე დიდი აღტაცებით და ბრავოს ძახილით ხვდება მილიციონერებს და ჯარისკაცებს. სახალხო მილიციონერებმა ოხრანკა აიღეს. მრავალი სურათები მოიტანეს დუმაში. ვათვალიერებ. ბევრი ქართველები და სომხები ვნახე.

სახალხო მილიციონერებმა ფოსტა-ტელეგრაფი აიღეს და ჯარისკაცები ჩააყენეს.

იჭერენ და მოყავთ პოლიციელები: გზა პოლიციელებს! გზა ძველი მთავრობის მსახურთ! და ხალხი გზას უცლის. ხალხი მათ დასცინის. ხალხი მწარეთ დასცინის მათ, ვინც ხალხს გუშინ მუშტით უმასპინძლდებოდა.

— გაბერილები! ოო! რა გასუქებულან? შეხედეთ როგორი კისერი აქვთ! ფრონტზე ეგენი, ფრონტზე,—იძახის ხალხი,—ფრონტზე ეგ ძაღლები!

მხოლოდ ხელს კი არ ახლებენ, არ სცემენ, დასცინიან. მწარეთ დასცინიან!

ქალაქის დუმის ერთი უზარმაზარი ოთახი დაჭერილებით გაივსო: ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს: ჟანდარმი, გოროდოვოი, ბოქაული და ყველა ისინი, ვინც ასე ძლიერ უყვარდა რუსის ხალხს. შევხედე მათ. ჯგუფ ჯგუფათ შეყრილან. ლაპარაკობენ. ალბათ დღევანდელ მომენტს ხსნიან. საინტერესო კი იყო მათი მოსმენა. მრავალი პოლიციელნი გადაცმულია. შტატსკი აცვიათ. მაგრამ ამ შტატსკშიაც კი გრძნობთ მასში პოლიციელს. ქონდათ მათ რაღაც თავისებური, რაც მხოლოდ პოლიციელს ახასიათებდა.

— ფრონტზე მაგენი, ფრონტზე,—გაიძახის ხალხი. მესამე დღეს მართლაც გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც მათ ჯარში იწვევენ.

ვ. ნოზაძე.

რევოლიუცია პროვინციაში

ქ. სოუდ ბულახი. (სპარსეთი). სოუდბალახის გარნიზონს შეადგენს ქართული მსროლელი პოლკი და ნაწილი სხვადასხვა პოლკებისა. აქ 17 მარტს მოხდა აფიცრების და სალდათების დელეგატების შეერთებული კრება. კრება გახსნა გენერალ ფილიმონოვმა, რომელმაც გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ბოლოს მოუწოდა ხალხს დაეჭირა დროებითი მთავრობისთვის მხარი, რასაც ხალხი ურას ძახილით და ტაშის ცემით მიეგება. შემდეგ გენერალმა მისცა წინადადება კრებას აერჩიათ თავმჯდომარე, მისი თანაშემწე და მდივანი. კრებამ ერთხმათ აირჩია მეორე სახ. სათათბიროს დეპუტატი ექიმი ზაკინი და მის თანაშემწეთ პრაპორშჩიკი ფილიმონოვი. ზაკინმა წინადადება მისცა კრებას გაეგზავნათ მილოცვის დეპეშა დროებით მთავრობის თავმჯდომარისათვის, რაც მიღებულ იქმნა და ფორმულაც შეიმუშავეს.

მისივე წინადადებით კრებამ ერთხმათ დაადგინა: დაუყონებლივ იქნას შეკრებილი ფული, რის ერთი ნახევარი გადაეცეს მათ ცოლ-შვილს, ვინც ომში დაიღუპა და მეორე ნახევარი კი მათ ცოლ-შვილს, ვინც თავი შესწირა რუსეთის რევოლიუციას. შემდეგ ილაპარაკა პრაპორშჩიკ ფილიმონოვმა. მან სავსებით დახასიათა წარსული, აწმყო და მომავალი. ილაპარაკა პორუჩიკმა მელუამ და სალდათებმა. აღსანიშნავია, რომ ყველა ორატორების სიტყვები იყო მიმართული შეერთება შეკავშირებისაკენ.

მეორე დღეს 18 მარტს მოხდა სალდათების და აფიცრების შეერთებული მიტინგი. მიტინგმა მიიღო ყოველივე ზემო აღნიშნული და მასთან დაადგინა გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა აგრეთვე მუშა ხალხის და სალდათების წარმომადგენელს ჩხეიძეს. მიტინგზე ილაპარაკეს როგორც აფიცრებმა ისე სალდათებმა. მიტინგი დაიშალა მარსელიოზის სიმღერით.

იათაის პირელი.

სოფ. ზედა ხაჭარა. (ქუთ. გუბ.). სამაგალითო შემთხვევაა. კეკლუცი გაზაფხული და თავისუფლება, ქრისტეს აღდგომა და ხალხის აღდგომა თითქმის ერთად მოგვევლინა. აყვავებულა სოფელი, აბიბინებულა-ახალფოთლოვანებულა მინდორ-ტყე-ველი. აჭიკჭიკებულა ჩიტუნიები და ყველა ამღერს თავს დასცქრიალებს თავისუფლება და მისი ყვავილი—წითელი დროშები. ასეა სოფ. ზ. საქარაშიც.

თუმცა ხალხს შიმშილი კარზე უკაკუნებს, თუმცა ხალხი მოღუშულია ეკონომიური უძლურებით, თუმცა ამ სოფელში ისე როგორც სხვაგანაც, მოხუცი და ქალების მეტი არავინაა, მცხოვრებნი აწუხარებით უნდა იყოს მოცული, მაგრამ ყველა ამფებს აბრწყინებს მოპოვებული თავისუფლება.

გლეხების აღფრთოვანებას საზღვარი არ აქვს. ცხოვრება ამ სოფელში ნორმალურ კალაპოტშია. ყველა ერთსულოვნად,—სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობს წესიერებას, რის გამოც ბოროტებას, ქურდ ბაცაცებს, ყაჩაღებს ნიადაგი არ აქვთ, რადგანაც იციან, რომ ხალხის რისხვა მოელით. მართალია წინა ხანებში სოფლებში და სხვათა შორის აქაც ადგილი და ნიადაგი ქონდა მტრობა შურიანობას, მაგრამ ეხლები შეფერხდა დღეს. დღეს ერთად იყრიან თავს ძალიან უწინდებურად და ამ ნაირად იმართება ხოლმე ბაასი სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

— ღმერთო გაუმარჯვე ჩვენს ძმებს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დემოკრატიას,—ჩააქსოვენ ხოლმე ბაასში გლეხები, ღმერთო საუკუნო დაუმკვიდრე ვინც ჩვენისთანა საწყალი, მშრომელი ხალხისთვის ბრძოლის ველზე დაეცა—თავი დასდო, წამოიძახებენ აგერ ეგერ ორი სამი აზნაური. უღარიბესი, რომელთაც გლეხები აღფრთოვანებით ღებულობენ და ორივე წოდება ერთი მეორეს ეფიცება ძმობა ერთობას.

— დემოკრატია—დემოკრატიაა (ამ სიტყვაში გლეხები გულისხმობენ სოციალ დემოკრატიას) ჩვენი დამცველი, ისინი მოგვცემენ ჩვენ საერთო სწავლა განათლებას, რესპუბლიკას, მიწას. ჩვენც მოვეხმაროთ მათ.

აღდგომა დილას წირვის შემდეგ საქარის ეკლესია „გულბადიანზე“ სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ტ. ცქიტიშვილმა. (დრონი მეფობენ. რევოლიუციის სუსხია!)

საქარელი მ.

ს. ზხვში. (სამეგრელო). 2 აპრილს ქვედაზხვში მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებმა ივანე ხვიჩიამ თოფის ტყვიით მოკლა წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ნესტორ სამსონია. ხვიჩია ძალზე შეზარხოშებული ყოფილა და გამოკიდებია ვიღაც სხვას. სამსონია მას გზაზე გადაღობებია და შემთხვევითი მსხვერპლი შექმნილა ვერაგობისა.

ამ შემთხვევამ მცხოვრებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგი თხოულობდა სწრაფი ხალხური სამართლით გასწორებოდა ბოროტმოქმედს, მაგრამ ხალხის ერთგულებამ საქმეს უშველეს, ყველას შთააგონეს, რომ საჭიროა ბოროტმოქმედი კანონიერათ იქნას გასამართლებული და დასჯილი.

ამის შემდეგ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატის არტემ ჩემიას თაოსნობით, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში განიცდიდა მთავრობის მიერ დევნას და მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც მშობელ სოფელში დაბრუნდა, მოწვეულ იქმნა კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა მომხდარ მკვლელობაზე და დაადგინა:

1. სამეგრელოში, როგორც ბევრგან სხვაგან, ხალხს ჩვეულებათ ქონდა და აქვს იარაღი ატაროს. ამ ჩვეულებას თავისი ისტორია აქვს, მაგრამ დღეს, როდესაც თავისუფლების საქმეს ეს არ სჭირია, ხოლო ვნება კი იარაღის ტარებას დიდი მოაქვს, ვადგენთ კერძო ცხოვრებაში იარაღი არ ვატაროთ.

2. დიდია ის ზარალი და ვნება, რომელიც მოაქვს მაგარი სასმელების ხმარებას. იგი აჩაგრავს მუშას და მის ერთგულ ძმას ჯარის კაცს, რომელთა კურთხეული აზრი და მარჯვენა სდარაჯობს თავისუფლების საქმეს. ამიტომ დაიხუროს ის სამიკიტნოები, სადაც მაგარი სასმელები იყიდება.

3. მოისპოს უაზრო კარტის თამაში და დროს ტარება.

4. რადგან გაზაფხული დადგა, კრება მოუწოდებს მიწის მუშათ სამუშაოთ. საჭიროა მიწის დამუშავება, მომრიგებელ კამერების დაარსება მემამულეებისა და მიწის მუშათა შორის საქმის გამწვავების ასაცილებლათ. საჭიროა ბრძოლა ყოველგვარ უწესოებასთან, მტაცებლობასთან, ქურდობასთან, ანარქიასთან, კერძო საკუთრების მითვისებასთან.

5. კრება საჭიროთ სცნობს მოწესრიგდეს ნიხრის საკითხი, აილაგმოს ვაჭრებისა და ხალხის მძარცველების თვითნებობა.

6. კრება ერთხმათ შეუერთდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ძირითად მოთხოვნილებას დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ და შეუერთა თავისი ხმა დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნას.

7. კრება მხარს უჭერს ახალს მთავრობას და ყოვლის ძალღონით შეებრძოლება ძველი მთავრობის აგენტებს.

8. კრება სალამს უძღვნის დეპუტატ კარლო ჩხეიძეს და მის ამხანაგთ, რომელნიც ეგრე მტკიცეთ იდგენ და სდგანან სადარაჯოზე, ეგრე ფხიზლათ ეკიდებიან სახალხო საქმისა და თავისუფლების განმტკიცებას.

შ—ლი.

ს. ახალქალაქი. (გორის მაზრა). ახალქალაქის რაიონის ყველა საზოგადოების მამასახლისებს გორის მომრიგებელ შუამავლისაგან ბ. ამირაჯიბისაგან მოუვიდათ მოწერილობა, სადაც ის თანახმათ თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომისარიატის წინადადებისა, ხალხს იწვევდა სოფელ ახალქალაქში აღმასრულებელი კომიტეტების ასარჩევათ. მასთან ერთად წინადადებას აძლევდა ძველ მამასახლისებს, რომ სასოფლო სამართველოებმა (ძველებმა რათქმა უნდა) შეუჩერებლივ განაგრძონ თავიანთი ფუნქციების შესრულებაო. დანიშნულ დღეს, 22 მარტს, ს. ახალქალაქში ახლო საზოგადოებებიდან იწყო ხალხმა დენა, მაგრამ როდესაც შეიტყვეს, რომ ხალხის შეკრება შუამავლის განკარგულებით ხდება, ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მათში. საქმე იქამდის მივიდა, რომ ზოგიერთნი მოითხოვდენ მის დატყვევებას თუ მას ახალი მთავრობისაგან ნებართვის საბუთი არ აღმოაჩნდებოდა. ამ აზრს სხვათა შორის ახალქალაქის აღ. კომიტეტის წევრნიც (ზოგზოგი რათქმა უნდა) ემხრობოდა, მიუხედავათ იმისა, რომ მათ წერილი ჰქონდათ ნოე ჟორდანიასი და პაპოვის. ამ წერილის დამწერმა აუხსნა ხალხს, რომ მ.-შუამავალი ამ შემთხვევაში მოქმედებს არა საკუთარი ინიციატივით და რაიმე საწინააღმდეგო განზრახვით, არამედ თფილისის აღმ. კომიტეტის დავალებით და მაშასადამე მას არავითარი უფლება არ აქვს და არც ძალა და საშუალება მოეპოვება ახალი მთავრობისა და ხალხის საწინააღმდეგო აგიტაცია გასწიოს. ამიტომ ურჩია ხალხს—ჯერ მოესმინა შუამავლისათვის და თუ მაინცდამაინც ის რაიმე ხალხის საწინააღმდეგოს იტყოდა, მერე გაეცათ შესაფერისი პასუხი. ხალხი დასთანხმდა. მომრიგებელმა შუამავალმა გადასცა დამსწრეთ, რომ ის მოვიდა თფილისის კომიტეტის დავალებით. დეპეშა იქვე ხალხის თვალწინ წაიკითხეს. შემდეგ ნ. კ—მა აუხსნა ხალხს, რომ ადგილობრივი სოფლის აღ. კომიტეტები ვალდებულია დაემორჩილოს თფილისის აღმ. კომიტეტის გადაწყვეტილებას საერთო საქმეებში როგორც მისი ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანო, რომ ისინი არჩეულია ადგილობრივ მართვა-გამგეობის ხელმძღვანელათ და საწარმოებლათ შინაური წეს-რიგის და მშვიდობიანობის დასაცავათ. ილაპარაკეს სხვებმაც. სამაზრო წარმომადგენლების არჩევნები გადიდო შემდეგი დროისთვის, რომელიც მოხდება საერთო გადაწყვეტილების თანახმათ ს. ახალქალაქში.

რამდენიმე პირმა საჩივრით მიმართა ბ. შუამავალს, მაგრამ მან უარით უპასუხა ყველას და ურჩიათ მიემართათ კომიტეტებისათვის, როგორც კანონიერ მთავრობისთვის. თითქმის ყველა საზოგადოებაში აღმასრულებელ კომიტეტის ხელში გადავიდა საქმის წარმოება. იქვე მოვიდა განცხადება, რომ ს. ხოვლეში ცნობილი მამასახლისი გოშაძე ისევ თარეშობსო. კომიტეტებმა მიიღეს გადაწყვეტილება—აეყაროს მას იარაღი დატყვევებული და მოყვანილ იქმნას ახალქალაქში. ადგილობრივმა ჯარის უფროსმა, თანახმათ კომიტეტების თხოვნისა დახმარება აღმოუჩინა და გაგზავნა სალდათები ხსენებული მამასახლისის დასატუსაღებლათ.

გ—ი.

გაზეთის სასარგებლოთ.

ხარაყამიშიდან მივიღეთ პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოთ 45 მ. შემოსწირეს თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი: ვანო გოგინაშვილმა, ეკატერინე გოგინაშვილმა და ილიკო ბომბიაშვილმა.

—

ალექსანდროპოლის კონდუქტორებისაგან 21 მანეთი მივიღეთ, რაც განაწილდა გამომგზავნთა სურვილის თანახმათ. შემომწირველნი: მ. არველაძე, კ. აბულაძე, გ. პანკვილაშვილი, გ. შათირიშვილი, გ. ლოლაძე, ვ. გვენეტაძე და პ. ჭანტურია.

—

თფილისის ჯარისკაცთა ერთი ჯგუფისაგან ბრძოლისიანმა რედაქციას გადმოსცა 12 მან. 20 კ. ბრძოლის პირზე მყოფთათვის „ერთობის“ და „პაიკარის“ გასაწერათ. შემომწირველთა სია. ათ-ათი შაური: გ. ჩხუტიაშვილი, ვ. ნახუცრიშვილი, ტ. მაჩაიძე, ფ. მახნიაშვილი, ტ. საჯკოვი, ა. გურიანთელი, მ. ლაფერაშვილი, მ. სამსონიანცი, გ. გაბუროვი, გ. ენუქიძე, ლ. ხაზაძე, ვ. აბუტაძე, ვ. გოგიშვილი, დ. ამირანაშვილი; ორ-ორი აბაზი: შ. ნატროევი, რ. პოგოიანცი; ექვსი შაური ი. გრობინი, ა. გოგებერიშვილი; შვიდ-შვიდი შაური: მიკირტიჩ ბაბოიანცი, კ. ბაინდურთვი; თითო აბაზი: გ. ბეხანოსიძე, ი. ველიკორს, ხ. ხანოიანცი, პ. ვართანიანცი, პ. გოშაძე, ე. ჯიფშელაშვილი, დ. ლომსაძე; ორ-ორი შაური: რ. შარიქაძე, გ. ტაბატაძე, კ. გესხორაძე, ი. სვანიძე და ერთი მანეთი ი. ბრძოლისიანმა.

—

მელიტონ ბერიშვილის ოჯახის სასარგებლოთ მივიღეთ № 2 მ.; კიმოთე ფაჩულიასაგან 3 მ.; ნადია დოლაბერიძე ფაჩულიძისაგან 1 მ.; ეფრ. კიწირაშვილისაგან 50 კ.

—

431 გოსპიტლის სანიტარნი ჯარისკაცები გვიგზავნით ჩვენ შორის შეკრებილ წვლილს თორმეტ მანეთს 80 კ. ამ რიცხვიდან ვლებულობთ 20 კ. გამოსაგზავნს. 12 მ. 60 კ. გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ. შემომწირველთა სია. თითო მანეთი: დომენტი ოდიკაძემ, გერასიმე მეტრეველმა, ნოვე შალამბერიძემ, ფიდოსი გეგეშიძემ; სამ-სამი აბაზი: ისიდორე სამხარაძემ, ილია წაქაძემ; ათ ათი შაური: მიხაილ რუხაძემ, არსენა მეძველიამ, ალექსანდრე მოდებაძემ, ალექსანდრე ჭანტურიამ, ვარლამ ბუხაიძემ, ალექსი პრუიძემ, მელიტონ ალავიძემ, ბიკტორ ლურსმანაშვილმა, პავლე მახარაძემ, ეგნატე ნანავამ, დიმიტრი ტაბატაძემ 40 კაპ., თედორე ხურციძემ, არჩილ ბრეგვაძემ, ლევანტი ნადირაძემ;—ხუთ-ხუთი შაური: დანიელა პაპიაშვილმა, ამბაკო შუბითიძემ; დავით ტყემალაძემ 20 კაპ. სულ შედგა 12 მ. 80 კ.

ამხ. მონდობ. პავლე მახარაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

იძულებითი პასუხი.

თქვენ პატივცემული გაზეთის 14 ნ-ში ბ. დამსწრისაგან მოთავსებულია 22 მარტის ფარმაცევტთა საზოგადო კრების ანგარიში, რომელიც სისწორეს მოკლებულია, ეგრეთვე ეხება რა ჩემს პიროვნებას ამბობს: ვითომ კრებას უნდა დასწრებოდეს 130 კაცამდე, უნდა აერჩიათ მუშათა დეპუტატების საბჭოს დელეგატები და დროებითი კომისია, ფარმაცევტთა ორგანიზაციის წესდების შესამუშავებლათ. ორივე არჩევნები ვითომ დიდ არეულობით და არა კანონიერათ უნდა მომხდარიყოს. მე კი ვითომ ფაქტიურათ უნდა ჩამეგდოს ხელში თავმჯდომარეობა და მუდამ კრების კანონიერებაზედ განვიძახოდი, რაც სიმართლეს არის მოკლებული.

ნამდვილი სიმართლე კი შემდეგს შეიცავს: კრებას დაესწრო არა 130 კაცი არამედ 151, კრება ერთხმათ იყო ცნობილი კანონიერათ. მიკვირს ამის შემდეგ რისთვის უნდა დამჭირვებოდა კრების კანონიერებაზე გაძახილი. პირველი არჩევნები ე. ი. მ. დ. ს. დელეგატების მოხდა ფარული კენჭის ყრით, არჩევნებში მიიღო მონაწილეობა ყველამ 151 კაცმა. იყო 6 კანდიდატი დასახელებული, რომლებშიაც დიდი ხმის უმეტესობით გავიდა ამხ. კოპილევიჩი და ეგრეთვე მე 99 ხმით. რაიცა შეეხება კომისიის არჩევნებს მართლაც მოხდა არა კანონიერათ, რამაც დიდი არეულობა და კრების უწესრიგობა გამოიწვია. ამ არჩევნების არა კანონიერებას მაშინაც ვღიარებდი და ეხლაც ვიმეორებ. სწორეთ აქ მოხდა ის შემთხვევა, რაზედაც მიუთითებს ბ. დამსწრე, ვითომ თავმჯდომარეობა ჩამეგდოს ხელში არა ბ. დამსწრე თქვენ ობიექტიურათ რომ გაგერჩიათ ეს, სრული დარწმუნებულ ვარ სიმართლეს არ უღალატებდით და სიცრუეს არ იტყოდით.

როდესაც დიდი ხმაურობის ალიაქოთი ჩამოვარდა დარბაზში და ამხ. თავმჯდომარემ ველარ შესძლო წესრიგის აღდგენა, მაშინ მე ვალდებულათ ვცანი, როგორც თავმჯდომარეს ამხანაგი დავხმარებოდი თავმჯდომარეს და შეერთებული ძალით დაგვეწყნარებია ამხანაგები. ის იყო მივახწიეთ მიზანს, მაგრამ ამ დროს დგება ბ. ქვათაძე და რაღაც უცნაური ხმით გაკივის დარბაზში. რამდენჯერმე მივმართეთ როგორც მე, აგრეთვე ამხ. თავმჯდომარემ და ნაწილმა ამხანაგებისამაც, რომ წესიერება დაეცა, მაგრამ ის არ წყნარდებოდა და მაინც თავისას გაიძახოდა. აი ბ. ქვათაძის ასეთმა მოქმედებამ გამომიყვანა მოთმინებიდან და მის ასეთ საქციელს უწოდე მხეცური, და თანაც, მართალია, წამოვ მისკენ არა თუ საცემლად, როგორც ბ. დამსწრ აღნიშნავს, არამედ მინდოდა დავახლოვებოდ და გამომენახა საშუალება, რითაც შეიძლებოდა მისი დაწყნარება და ამითი კი შესაძლ იქნებოდა კრების წესიერების აღდგენა და კითხვის საბოლოოთ გამორკვევა, თუმცა ჩემი იმისკენ წასვლა დიდი მღელვარებისგან იყო გამოწვეული, მაგრამ მიუხედავათ ამისა ასეთ ჩემს საქციელს არ ვამართლებ და ბოდიშს ვიხდი კრების წინაშე და არა ბ. ქვათაძისა.

დასასრულ მეკითხება ბ. დამსწრე შემიძლი თუ არა მე ვიქნე ამის შემდეგ, როგორც მუშა ფარმაცევტებისა აგრეთვე იმ პირის ვისკენაც მე გავიწიე წარმომადგენლათ მუშათა დეპუტატების საბჭოში.

პირველზე მე არას ვიტყვი, დე თვით მუშა ფარმაცევტებმა დამდოს მსჯავრი და გამოთქვას თავისი აზრი; რაც შეეხება მეორეს გულახდილათ ვამბობ: თავის დამცირებათ მიმაჩნია ვიქნე რაიმე საბჭოში მის წარმომადგენლათ და მისი ინტერესების დამცველათ. ® თუ რა მიზეზების გამო, თუ კი მოისურვებს ამას ის პირი, რომელზედაც თქვენ მ თითებთ, მზათ ვარ დაუმტკიცო.

ხ. ჯუღელი.

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ი ნ კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსიას, რომელმაც ქეთილ ინება და დაბა ანაკლიის დაწვის გამო აღმასრულებელ კომიტეტს გადასცა სამასი მანეთი დამწვარ და უკიდურეს გაჭირვებულთა დასახმარებლათ.

კომიტეტის თავმჯდომარე ბეგლარ მგელაძე

და მდივანი ნოე გეგენავა.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

34 ეტაპნი ბატალიონის 3 როტის ჯარის კაცი ანდრია ლევარსამის ძე ფხაკაძე, მცხოვრები ქუთაისის გუბერნიის და მაზრის, სოფელ ფარცხანაყანევიდან იმყოფება 416 საველე მოძრავი გოსპიტალში; ავათაა ტიფით.

ჯარის კაცი მიხეილ თოიძე.

ჯ. კ. ბიკტორ ამბაკოს ძე კახიანი ქუთაისის გუბერნიის და მაზრის, სოფელ ფერსათიდან—მსახურებდა მომქმედ ჯარში 4 კავკასიის სანაპირო პოლკში, 1 ბატალიონში, 3 როტაში. 3 ვზვოდში. გასული წლის მაისის შემდეგ იმისი არაფერი ვიცით და თუ ვინმეს რაიმე ცნობის მოწოდება შეუძლია, უმორჩილესათ გთხოვთ შემდეგი მისამართით გვაცნობოთ: დ. ბაგდადი, ქუთაისის გუბ. ამბაკო კახიანი.

— რვა თვეა, რაც ჩემი ძმის ბარნაბა ივანეს ძე ასანიძის შესახებ არაფერი ვიცი. მსახურებდა პეტროვსკი პორტზე 220 სათადარიგო ქვეითი ბატალიონში, მეხუთე როტაში. ვთხოვ ყველას, თუ რაიმე იციან იმის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. ყარსი 4 საექსპლოატაციო ბატალიონი 4 როტა, ირაკლი ასანიძეს.

კავკავის სამხედრო საავადმყოფოში 8 ამა თვეს გარდაიცვალა ტიფით ჯარისკაცი გიორგი გიორგის ძე თელიაძე, მცხოვრები შორაპნის მაზრისა. მის გარდაცვალების შემდეგ საავადმყოფოს კასაში დარჩა მისი ფული 7 მან. 40 კაპ., რომელიც გაგზავნილი იყო შორაპნის პოლიციაში, მაგრამ ეს ფული უკან დააბრუნეს რაღაც მიზეზის გამო, ამისთვის გთხოვთ მაცნობოთ, ვინც იცის მისი ოჯახობის ადრესი, რომ ეს ფული გაუგზავნოთ. მისამართი: Владикавказъ, Бухгалтеру военнаго госпиталя Ил. Л. Чхартишвили.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

მსურს
პიანინოს
ქირით აღება. მსურველთ ვთხოვთ მოგვმართოს ელისაბედის ქ. № 192. ტელ. 109.

მიღებულია ფრანგული აბრეშუმის
თესლი ცნობილი ფირმის ბერტესი
საკუთარ შეკვეთის თანახმათ
ოთხკუთხ კოლოფებში
ფრანგული სამფეროვანი დროშით და შავი არწივით ყვითელ ფონზე.
მიმართეთ ტ. ს. მირზაიანცს: თფილისი განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58.
დეპეშის ადრესი: ტიგრან მირზაიანცს თფილისში. 10—3

ქ. თფილისში, ოლღის ქ. №6, ს.-თავართქილაძის კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფულის გამოგზავნისთანავე.
მიიღება [illegible] აბონემენტს აგრეთვე [illegible] ჟურნალ-გაზეთებზე: [illegible] „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, [illegible] „[illegible]“, „[illegible]“, „პაიკარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა, რუსთაველის გამზირის შესახვევი.